- სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაცივება 2006 წლის 1 მაისის 12 საათიდან 2006 წლის 23 მაისის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
  - სატენდერო შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოვლენილი იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
  - დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
- სატენდერო კომისია**

# Weekend

© ბაჭათი 24 საათი


შაბათ-კვირა, №2  
29-30 აპრილი, 2006



2 შაბათის  
სტუმარი

## გულახდილად

რიბითი  
სისულაღა  
ბრძნული  
შესავალით



6

## დედაქალაქი

საით არის  
საქართველო?



7

## დროთა კავშირი

ასანინთა  
ძეგლებადობა

10

## საკითხავი

უჩინარი  
ქალაქები

12

## სტილი


ქალური  
ინტერიერი



16

რობერტ კაპა (ფოტოგრაფი)  
და ჯონ სტეინბეკი,  
საბჭოთა კავშირში  
მოგზაურობის დროს  
(კორნელი კავას ფოტოარქივიდან)

4-5



# ყველაფერი სწორად კეთდება, მაგრამ - ძალიან ხისტად

**- როგორ შეხვედით ბაზარზე, როგორ მივიღეს იმ ქვეყანაში?**

- უპირველეს ყოვლისა, ამ ხალხის ფსიქოლოგია, მენტალიტეტი და ქვეყნის კანონმდებლობა უნდა შეისწავლო იმისთვის, რომ გაიგო, როგორ შეიძლება ახალი პროდუქციის შეტანა და გაყიდვა. ამის შესწავლის შემდეგ მივედით დასკვნამდე, რომ ჯობდა, ჩინეთში ჩვენი კომპანია გაგვეხსნა, რომელსაც იმპორტის უფლება ექნებოდა და რეალიზაციისა და რაც მთავარია, მასზე იქნებოდა დარეგისტრირებული სამარკო ნიშნები.

ჩინელები ჯერ-ჯერობით ღვინის ბაზრის განვითარების სტადიაში არიან. ამიტომ, ყველა იმპორტიორი თანახმაა, შემოიტანო პროდუქცია, ამ მხრივ პრობლემა არ არის; მაგრამ, ჩინეთის კანონმდებლობით, თუ იმპორტიორმა ფირმამ სამარკო ნიშანი დაგირეგისტრირა, ისიც მფლობელი ხდება და მის გარეშე ვერაფერს გააკეთებ. იმანაც გამაკვირვა, რომ ბაზარი გადატვირთული იყო. ყველაფერი ინვესტიციისთვის ჭირდება.

ფსიქოლოგია კი ასეთი აქვთ ჩინელებს - ალაღად გატყუებს, შავზე გეუბნება, თეთრიაო. თან იცის, რომ გატყუებს, შენც იცი, რომ გატყუებს და იმანაც იცის, რომ იცი - რომ ის გატყუებს. რომ ეკითხები, რატომ მატყუებო, ის გპასუხობს - მე გატყუებ. თუ მოტყუვდი, ხომ კაი ჩემთვის, თუ არ მოტყუვდი, ხომ მეტყვიო...

**- ბაზრის პროგნოზირება შეგიძლიათ?**

- საუბარი, რომ ჩინეთის ბაზარი ახლავე შეცვლის რუსეთის ბაზარს, არასწორია.

**- პერსპექტივაში არ არის ეს მოსალოდნელი? თქვენ ხომ დამკვიდრდით?**

- პერსპექტივაში როგორ არა. რაც შეეხება დამკვიდრებას - რუსეთის ბაზრის ოდენა მოთხოვნებამდე და გაყიდვების რაოდენობამდე ჩინეთის ბაზარს ბევრი უკლია.

**- სმის როგორი კულტურა აქვთ?**

- აქვთ თავისი მაღალგრადუსიანი ბრინჯის არაყი, რომელიც ჰგავს ჭაჭას, ოღონდ, ძალიან მყარალს. ღვინის და ლუდის სმის კულტურა კი ახლა შემოდის.

იმისთვის, რომ ჩინეთში ღვინის სმის კულტურა დაემკვიდ-

მაია ჭალაგანიძე

დავით ზოდელავა, რომელიც თანამედროვე ფართო საზოგადოებისთვის ჩინეთში ერთადერთ ქართველ მეღვინედ არის ცნობილი, სულ უბრალოდ დაადგა წითელი აღმოსავლეთის გზას - ყველა ბიზნესმენი ეძებს ახალ ბაზარს. ოღონდ, ეს რუსეთისგან წარმოებული "ღვინის ომამდე" წელიწადნახევრის წინ მოხდა - კომპანია "ტარო შანხაი"-ს ღვინო პირველი ქართული პროდუქტია ჩინეთში. მანამდე არსებობდა "ტარო თბილისი" და "ტარო მოსკოვი..."



დავით ზოდელავა "24 საათის" ბაღში.

რებიანთ, ფრანგებმა მთელი ფილოსოფია შექმნეს იმის შესახებ, რომ ღვინო ჩინეთიდან მოდის და მათ ეს უდნა იცოდნენ... ამას საფრანგეთის მთავრობის მიერ განეული 8-9 წლიანი უზარმაზარი მუშაობა დაჭირდა. ახლა ჩინეთის ღვინის ბაზარი ღვინოებით გადატვირთულია. ყველანაირი ღვინოებია - "ბურბონი" დოლარი ღირდა... ფალსიფიკაციის მეფეები არიან. როგორ შეიძლება "ბურბონი" მა-

ლაზიაში დოლარნახევარი ღირდეს?!

**- ქართული ღვინის ფასები საიდან იწყება?**

- რადგანაც მარტო მე ვარ ბაზარზე, მაღალი ნიშა დავიჭირე.

**- ხუთი წლის წინ დაიწყეთ ღვინის გაშენება. იქნებ შეადაროთ ქართულ და ჩინურ ბაზარზე დამკვიდრების გზები?**

- აქ უფრო მარტივი იყო, რა-

დგან ნანი ბრეგვაძის ბრენდი გვექონდა. ნანის ვენახები ჩვენი ვენახების მეზობლად აქვს, ტიბაანის იქით, ხორნაბუჯთან, ქიზიყში. გავდავწყვიტეთ, მოგვევარა მისი ვენახებისთვის და მისი სახელი დაგვერქმია იმ ღვინისთვის, რომელსაც მისი ვენახის ყურძნისგან გავაკეთებდით. ეს არ არის დიდი რაოდენობა.

ისე კი, საქართველოს ბაზარზე სხვა ტენდენციები. თითქმის ყველა რესტორნიდან, ბარიდან და მაღაზიდან გამოგვაგდეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

**- ექვსი წლის წინ?**

- არა, ახლა. რესტორნის მეპატრონე თუ კომპანიის დირექტორი არარეალურად დიდ თანხას გთხოვს. იმდენი ღვინო სულ არ გაიყიდება. ვიღაც უხდის ამაში. ზოგი კი იმისთვის იხდის, რომ რესტორანმა სხვა ღვინო არ შემოიტანოს. არ მესმის, რა სახსრებით, ან ვისი დახმარებით იხდიან ამ ფულს, რადგან გაყიდვებით არ შეიძლება, ამხელა თანხა ჰქონდეს.

**- დიდი წარმოება გაქვთ?**

- არა. როდესაც მწვანე ოპერაციებია, როცა ვენახის სამუშაოებია, 4-5 სოფელი გამოდის სამუშაოდ. ქიზიყში ერთ-ერთი მოზრდილი კომპანიაა. ყოველ შემთხვევაში, მაგ რაიონში ერთ-ერთი ლიდერები ვართ.

**- როგორი ხალხია ჩინეთში?**

- ძალიან ჭკვიანი, შრომისმოყვარე. ოღონდ, ყველაფრის დაკონკრეტებაა საჭირო, ყველაფრის ზუსტად და რამდენჯერმე გამოკრება.

**- როგორი მყიდველები არიან ჩინელები?**

- ვიზუალურად ირჩევენ საქონელს.

**- ღვინის გაყიდვების რაოდენობა მზარდია?**

- ამას სერიოზული ინვესტიციები და დიდი თანხები ჭირდება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ და რა თანხებით შეხვალ ბაზარზე.

**- ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებს ამ ჩინური ბაზრის გააქტიურების შემდეგ შეხვედრისხართ?**

- ოფიციალურად არა, პრივატულად - კი.

**- 5-6 წლის წინ, რუსეთში ყოფნისას, საქართველოს ბიზნესმენებს გამოუგზავნეთ წერილი, სადაც ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ზომების გატარებას თხოვდით...**

- დღესაც იგივე მდგომარეობაა. არ არსებობს არავითარი მექანიზმი, რომ რუსეთში დაიცვა "ქინძმარაული", "ხვანჭკარა" თუ სხვა ბრენდები. ვიცი, რომ ნახევარი წლის წინ "საქპატენტში" არაფერი არ იყო დაპატენტებული. ახლა ეს, მგონი, გაკეთდა.

მაშინ იმ წერილს რუსეთის ბაზარზე მომუშავე სხვა ქართველი ბიზნესმენებიც აწერდნენ ხელს. რიაზანში, პოდმოსკოვოეში, ციმბირში გამოშვებულ ღვინოებს ეწერა ქართული სახელები და ღვინის ფასი ლუდის ფასამდე დაჰყავდათ. მაშინ ამის მოგვარებას ვითხოვდით.

**- ფალსიფიცირებულ სასმელს რუსული კომპანიები აკეთებდნენ?**

- როგორც წესი, სადაც ქართული სახელი ურევია, ყველგან თითო ქართველი იქნება.

დღესაც არ არსებობს ქართული ღვინის დაცვის არავითარი მექანიზმი. საქართველოს მთავრობამ ჯერ აქ უნდა დააპატენტოს, როგორც ვაგარცე, როგორც რუსეთზე. მაგრამ, რუსეთის ხელი არ აქვს მონერული ლისაბონის ხელშეკრულებაზე, რომლითაც პატენტი იქ უნდა გავიდეს... მოკლედ, ეს იურისტების სამუშაო თემაა.

მეპატრონემ უნდა დაცვას თავისი უფლებები, მაგრამ დღეს არ არის გარკვეული, ვინ არის ქართული ღვინის ბრენდების მეპატრონე. მეგონა, რომ მე ვარ მეპატრონე, რადგან, ქინძმარაულში მინა მაქვს. მაგრამ, საბოლოოდ ვერ გავარკვევთ, ვინ არის მეპატრონე. ყოველ შემთხვევაში, რუსეთში ეს სახელები დაცული არ არის. არა მგონია, რომ რუსეთის მხრიდან ქართული ღვინის აკრძალვა დროებითი იყოს, ეს კარგა ხანს გაგრძელდება.

**- რუსეთი თავდაცვის მინისტრის განცხადებამ გაალიზინა. თქვენ, მეღვინეები ფიქრობთ, რომ ეს არის ქართული პოლიტიკა?**

- დღესდღეობით მთელი ჩვენი მთავრობის პოლიტიკის სუსტი მხარე არის ის, რომ მახვილი კუთხეები აქვთ და ეს, რა თქმა უნდა, არც ერთ ეკონომისტს და პოლიტიკოსს არ მოსწონს. მაგის მომრგვალება და მორბილება ისე შეიძლება, რომ გეზი არ შეიცვალოს. დღეს, რეალურად, რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ვართ - ნამდვილად ასე ჰქვია დღევანდელ მდგომარეობას, აუცილებელი არ არის, თოფი გესროლოს. მეორე მხრივ, მომხდარი ფაქტია და რა უნდა გააკეთო? ნამეტანი რევერანსების დროც აღარ არის.



იცით, რა მოჰყვა სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის დედაში ნინო ბურჯანაძის გამოსვლას. სალამოს იყო კონცერტი, სადაც ნანი ბერეგვაძემ "თბილისი" იმღერა... ეს მე ქალბატონი ნანისგან ვიცი, რადგან დავურეკე და დავინტერესდი, მასაც ხომ არ ჩაუშალეს გამოსვლა. მან მითხრა, რას ამბობ, ისე კარგად მიმიღეს, ნახევარი დარბაზი მღეროდა და ტიროდაო... ეს არის ერთი, რომელსაც აქვს, ექნება და ვერაფრით ვერ წაუშლი "ველიკო-რუსკი" ამბიციებს. იმიტომ, რომ დიდი ერი და უზარმაზარი ქვეყანაა.

მეორე მხრივ, ჩვენც გვაქვს და გვექნება ჩვენი სამართლიანი ამბიციები... მაგრამ, დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანის არ იყოს, რომ მოენცივიათ მოქანდაკე და ეკითხათ, როგორ გადავიტანოთ, ხომ არაფერი მოხდებოდა? უკმაყოფილებას ხომ აიცილებდა მთავრობა?

მეღვინეების მაგალითი ავიღოთ - მათ უმძიმესი დარტყმა მიიღეს, გაკოტრების გზაზე არიან და ნახევარზე მეტი გაკოტრებულია კიდეც. ასეთ დროს საგადასახადოს და რაღაც კომისიებს აგზავნიან ღვინის ხარისხის შემოწმების მიზნით. დაერიე მეღვინეებს, ამ გამწარებულ ხალხს. ან ცოტა ხანი დაიცადე, ან ცოტა ადრე შეგემონებინათ... ხელისუფლება სწორად აკეთებს ყველაფერს, მაგრამ ძალიან ხისტად... შენი სიმართლე ყველას უნდა უთხრა, მაგრამ ამისთვის ფორმები არსებობს.

**- ცოტა ხნით მოწყვეტე ღვინოს და თქვენი პოლიტიკური წარსული გავიხსენოთ.**

- ეს დაიწყო 1989-1990 წელს, როდესაც კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბიზნესის განვითარების მიზნით მიიღო დადგენილება კოოპერატიული მოძრაობის დაწყების შესახებ. ეს არის ნებისმიერი წარმოების წინაპარი - გქონდა შენი ბეჭედი და ანგარიში. ჩამოყალიბდა კოოპერატორთა კავშირი, რომლის თავმჯდომარის მოადგილედ მე ამირჩიეს. სწორედ მაშინ დაიწყო მსჯელობა ბიზნესის კანონმდებლობაზე, უფლებებზე და სხვა. ყველაფერი მაშინ იწყებოდა.

მქონდა "კაპიტალბანკი", ერთ-ერთ პირველი კომერციული ბანკი საქართველოში. მაშინ სამანეთო ზონაში ვიყავით, მაგრამ რუსეთმა მოულოდნელად შეწყვიტა საბანკო ოპერაციები საქართველოს ბანკებთან. ეს მაშინაც ჩვენს დამოუკიდებლობასთან იყო დაკავშირებული. ამ

დროს ვიყავი რუსეთში და "ოერტეს" საშუალებით გავუშვი რეკლამა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ერთ მანეთს ვცვლიდი ორ მანეთზე - რუსეთში მომცემდი მანეთს, საქართველოში მოგცემდი 2 მანეთს. ეს უკვე იყო სავალუტო კურსი. უფრო კონკრეტულად, რუსეთში ბანკიდან გამოვიტანდი მანეთს, გავანაღდედით, გადავიყვანდი დოლარში, ამასაც გავანაღდედით ისევ რუსულ მანეთში და იქ ვაძლევდით ფულს. სამწუხაროდ, ერთ-ერთი დღევანდელი მაღალჩინოსანი ეკონომისტი და ედუარდ შვარცნაძე რუსეთში ჩამოვიდნენ, კურსი ერთ-ერთთან გააკეთეს და შემოიღეს კუპონი. ბაზრის მიერ დარეგულირებული რეალური კურსი კი აღარ არსებობდა. ეს იყო პირველი დარტყმა ქართულ ეკონომიკაზე. მაშინ გამოვედი სამთავრობო სხდომაზე და ვთქვი, რომ საქართველოს ანგრევთ-მეთქი.

მერე მქონდა პარტია, რომელმაც ორ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და ამ პარტიის წევრები (მე - არა) ორჯერ გავინდნენ პარლამენტში.

**- რატომ წახვედით პოლიტიკიდან?**

- შევბატყე, საქართველოში არ უყვარდათ ბიზნესმენი და მდიდარი ადამიანი. მაშინ ვერე იყო.

**- რუსეთი ჩვენი ტრადიციული ბაზარი იყო, საიდანაც ასე უცბად გამოგვიშვეს. რა უნდა გაკეთდეს ამ ბაზრის დასაბრუნებლად?**

- ათას ექვსას რომელიც ნელს პეტრე პირველმა ქართული ვაზი წაიღო საქართველოდან

და ჩრდილოეთ კავკასიაში დარგო. ალბათ იმ დროიდან ვართ ბაზარზე. დიახ, გამოგვყარეს და ნუ გგონიათ, რომ ქართული ღვინის დაგინყებას დიდი დრო დაჭირდება. უკვე შეგვცვალა ბულგარულმა, მაკედონიურმა, ავსტრალიურმა ღვინოებმა. მაგრამ მე ამ ბაზრიდან წამოსვლას არ ვაპირებ

**- როგორ?**

- ეს პრესისთვის არ არის.

**- სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად აპირებთ ამას?**

- რა თქმა უნდა. სახელმწიფომ ხელი არ შეგვიშალოს და სხვა არაფერი მინდა.

**- ქართველი მეღვინეების შეკრებებში არ მონაწილეობთ?**

- ყველანაირად ვუდგავარ გვერდით, მაგრამ არ ვაქტიურობ, ამ სფეროში ცოტა ახალი ვარ.

**- ღვინის გზა რუსეთში გავალული არ დაგზვდა?**

- არა. თქვენ გგონიათ, ნებისმიერი კომპანია წავა რუსეთში და ღვინოს გაყიდის? იქაც, როგორც ჩინეთში, ჩვენი კომპანია ჩამოგაყალიბეთ.

**- არსებობს მითი, რომ კარგ ქართულ ღვინოს ევროპულის მაღალი ფასი ექნება და ხარისხით კონკურენციას ვერ გავუწევთ, ეთანხმებით?**

- რა, ავსტრალია ან ჩილე არ აკეთებს კარგ ღვინოს? ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, რა ფასი ექნება სანავას, მინის არენდას, ქიმიკატებს. რამდენად შეუწყობს ხელს მეღვინეობას სახელმწიფო, თუნდაც, სანავაით. დიზელის სანავა ჩვენზე ძვირი არც ერთ ქვეყანაში არ არის და როგორღა იქ

ნება ღვინო იაფი?! შარშან, ხენა-თესვის, სოფლის მეურნეობისთვის პიკურ პერიოდში, ეს სანავა უფრო ძვირი იყო, ვიდრე ბენზინი, ეს არის ხელშეწყობა? ამას უნდა მიექცეს ყურადღება. სახელმწიფო საქმეს აკეთებს, მაგრამ აკეთებს ნაწილობრივ.

**- კახეთს რა ეშველება შემოდგომაზე?**

- ძალიან რთული კითხვაა... პერეპროფილირება უნდა მოხდეს. ნელს ყურძენი იაფი იქნება, ეს ფაქტია. მომავალ წელს გლეხი ამას ხელს მოკიდებს? შეიძლება, არ აჩეხოს, მაგრამ თუ არ მონამლე და მოუარე, ისევე გადაგვარდება, როგორც ქართული ჩაი.

რადიოში მოვისმინე, გზების მშენებლობაზე 200 მილიონი უნდა დაეხარჯოთ. იმ 200 მილიონიდან 2 მილიონი აიღონ, იყიდონ დანადგარები, რომლითაც ყურძნისგან, ხილისგან, სოფლის მეურნეობის დოვლათისგან წვენის კონცენტრატები კეთდება. მსოფლიოში ამაზე დიდი მოთხოვნილებაა, მსოფლიო ბაზარი ამ კონცენტრატებს ითხოვს. თუ ჭკუა აქვთ, ეს უნდა გააკეთონ. ეს სახელმწიფო დონის ამბავია. ყურძენი მასობრივად უნდა ჩაიბარონ და კონცენტრატები, ნატურალური ნედლეული გაყიდონ. ამ სიტუაციიდან ეს გამოსავალია. პოლიტიკა მრეწველობისკენ უნდა მოტრიალდეს.

დღეს ჩვენი პოლიტიკა ორიენტირებულია საგარეო ბაზარზე. რადგანაც ჩვენი ეკონომიკა ჯერ ფეხზე ვერ დგას, მას სახელმწიფოსგან ნახალისება, დოტაცია ჭირდება. ადგილობრივი პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე უნდა გასაღდეს და ქართველმა ქართული პომიდორი უნდა იყიდოს და არა თურქული.

საზოგადოების განსჯის საგნად ერთი კითხვა უნდა დაისვას - რას ვაშენებთ, სახელმწიფოს, სადაც იცხოვრებს მომსახურე პერსონალი - ჯარისკაცები, სასტუმროს დიასახლისები, ოფიციანტები, მძღოლები? სახელმწიფოს, რომელსაც არ ჭირდება ეკონომიკა, მე-

ცნიერება? თუ გვინდა სახელმწიფო, რომელსაც უნდა ეროვნული ეკონომიკის განვითარება? არ ვიცი, რომელი ჯობია, ეს სერიოზული საკითხია.

**- რუსეთმა თავის დროზე ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენა იარაღი - ენერგეტიკა, ახლა ღვინო, ბორჯომი, ხილი. რა იქნება შემდეგი?**

- ქართველების შევიწროება. საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთ გადაცემას ვუყურებდი და ტიტრებმა შემამინა. მორბენალი სტრიქონით ენერგობდა - გავყაროთ რუსებიო... მეშინია, ამას ორივე მხრიდან შოვინისტური და ფაშისტური გამოსვლები არ მოჰყვება. ან ტიტრებზე რატომ გაუშვეს აზრი, რომელიც არა საზოგადოების, არამედ ვიღაც ერთი იდიოტის მოთხოვნაა?! შეიძლება, ამ ერთი იდიოტის ნათქვამი ჩვენს წინააღმდეგოდ გამოიყენონ.

**- თქვენი აზრით, ასე ფორსირებულად რატომ დგას ღვინის ჩინეთის ბაზრის და არა ჩვენი მეგობარი ბალტიის ქვეყნების, ან აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე გასვლის საკითხი?**

- რა ვიცი. მაგალითად, ჩვენს კომპანიას ღვინო გაგზავნილი აქვს ინგლისში, პოლონეთში, უკრაინაში, ყაზახეთში. შოტლანდიაში ჯერ დეგუსტაციის პროცესშია.

**- როგორ იყიდება?**

- რა გითხრათ... ჩინეთში ყოფნისას ერთ-ერთი ქართველი მაღალჩინოსანი მოვიდა და მკითხა, ერთ მილიონ ბოთლს რამდენ ხანში გაყიდო. გავგონდი, საერთოდ არ ვყიდი ამდენს. ჩინეთში, ერთ მაღაზიაში რომ 10 ბოთლი გაიყიდოს, ძალიან კამაყოფიერი ვარ. ჩვენ გავდივართ ელიტირული ღვინის კატეგორიაში და მაღალი ფასები გვაქვს. ბოთლს 25-30 დოლარად ვყიდი. ჯერ რაოდენობაზე საუბარი არ არის, ჯერ-ჯერობით, ადგილს ვიკავებთ.

სადაც შევდით, ყველგან ასეა, რადგან ყველა სხვა ქვეყანაში ქართული ღვინო იქაურ რუს მომხმარებელზეა გათვლილი. ასეა ამერიკაშიც, სადაც სახელი ნაწილობრივ გატეხილი გვაქვს. ამერიკაში მცხოვრები ბევრი ქართველისგან ვიცი, რომ იქ ცუდი ქართული ღვინოებია შესული.

**- ევროპულ ბაზარზე, სადაც მაღალი სტანდარტებია, როგორღა შევალთ?**

- რა თქმა უნდა, შევალთ. ყველგან შევალთ, მაგრამ ეს არ იქნება ის მუშაობა, რასაც რუსეთში ვართ მიჩვეულები.



# რობერტ კაპას საქართველო

1947 წლის აგვისტოში საქართველოს ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი ჯონ სტიენბეკი (1902-1968) და არანაკლებ ცნობილი ფოტოგრაფი რობერტ კაპა (1913-1954) ეწვივნენ. ამ შესანიშნავი დუეტის საბჭოთა კავშირში, კერძოდ კი, უკრაინაში, რუსეთში და ბოლოს, საქართველოში მოგზაურობის ამსახველი ტექსტი და ფოტოები ჯერ ამერიკული გაზეთის "ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" ფურცლებზე დაიბეჭდა. შემდეგ კი 1948 წელს ნიუ-ორკში, რობერტ კაპას ფოტოებით ილუსტრირებულ ჯონ სტიენბეკის წიგნში "რუსული დღიურები" გაერთიანდა და 1948 წელს გამოიცა.

ნესტან ნიჟარაძე

"რუსულ დღიურებში" - საქართველოს ორი თავი და მრავალრიცხოვანი ფოტოები დაეთმო. წიგნის გამოქვეყნებას წინააღმდეგობრივი რეზონანსი მოჰყვა. ამერიკაში იგი პროსაბჭოულ, საბჭოთა კავშირში კი ანტიპროსაბჭოურ ნაწარმოებად შერაცხეს. მისი რუსულ ენაზე თარგმანა მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს, ე.წ. "გარდაქმნის" პერიოდში გახდა შესაძლებელი. რობერტ კაპას მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოები კი თბილისში მხოლოდ 2003 წელს გამოიფინა და ისიც ამერიკის საელჩოსა და ფოტოგრაფის ძმის, ასევე ფოტოგრაფის კორნელ კაპას დახმარებით.

თბილისში, გორში, ატენში თუ მცხეთაში კაპას მიერ გადაღებული ფოტოები მხოლოდ პატარა ნაწილია მისი 70 ათასი ნეგატივისგან შემდგარი არქივისა, რომელიც მეოცე საუკუნის დაძაბული ოცდაორწლიანი პერიოდის (1932-1954) უბადლო დოკუმენტაციად შეიძლება იქნას მიჩნეული; თავად რობერტ კაპა კი გასული საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფოტოგრაფად და თანამედროვე დოკუმენტური ფოტოგრაფიის ფუძემდებლად. იგი ხშირად იმეორებდა: "მე ორივე ფოტოსურათით უფრო მეტს გამოვხატავ, ვიდრე ჟურნალისტი, რომელიც ათასამდე სიტყვას წერს". და ამ სიტყვების ნათელი მაგალითია ესპანეთის და ჩინეთის, მეორე მსოფლიო, ინდოჩინეთის და არაბ-ისრაელთა ომებში გადაღებული მისი რეპორტაჟები. ჯერ კიდევ 25 წლის ასაკში ბრიტანული ჟურნალის "Picture Post" მიერ "მსოფლიოს უდიდეს ომის ფოტოგრაფად" აღიარებული რობერტ კაპა ინდოჩინეთის ომში დაიღუპა 41 წლის ასაკში. უკანასკნელი ფოტო მან სიკვდილამდე 5 წუთით ადრე გადაიღო. თუმცა მანამდე მოასწრო და საქართველოსაც ეწვია. ამ მოგზაურობის ამსახველი რეპორტაჟი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ იგი მშვიდობასაც ისეთივე წარმატებით აღბეჭდავდა თავის ფოტოებზე, როგორც ომს. სწორედ ამიტომ იგი არა მხოლოდ ომის უდიდესი ფოტოგრაფი, არამედ უბრალოდ უდიდესი ფოტოგრაფია.

## მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

რობერტ კაპას წინადადებას საბჭოთა კავშირში მოგზაურობაზე, რასაც ტექსტს დართული ფოტოების საფუძველზე წიგნის გამოცემა უნდა მოჰყოლოდა, ჯონ სტიენბეკი დაუფიქრებლად თანხმდებოდა. "ჩვენ გადავწყვიტეთ, - წერდა კაპა, - ფათერაკების მაძიებელ ძველმოდურ დონ კიხოტ-





ად და სანჩო პანსად გადაქცევა; რათა "რკინის ფარდის" მიღმა ჩვენი კალმებით, შუბებით და ობიექტივებით შევბრძოლებოდით იმდროინდელ ქარის წისქვილებს".

იმ დროისათვის კაპას უკვე სამჯერ ჰქონდა გაკეთებული მოთხოვნა საბჭოთა კავშირის ვიზის მიღებაზე. სამივეჯერ წარუმატებლად. სავარაუდოდ, უარის საბაბი მისი ესპანეთში ყოფნისას ტროცკისტებთან კავშირი გახდა. 1947 წელს კი, ჯონ სტეინბეკი, რომელიც სსრკ-ში დიდი პატივისცემით სარგებლობდა, როგორც ამერიკელი სოციალისტური რეალისტი, რუსეთის კონსულს ნიუ-ორკში უარს უცხადებს მოსკოვში გამგზავრებაზე რობერტ კაპას გარეშე. საკონსულო იძულებულია, დააკმაყოფილოს კაპას მოთხოვნა ვიზის მიღებაზე. ივლისის ბოლოს კაპას სტეინბეკის დუეტი მოსკოვში ჩადის, შემდეგ უკრაინაში და სტალინგრადში მიემგზავრება და ბოლოს, აგვისტოში, საქართველოში ჩადის.

კაპას ჩანაწერებიდან: "სტალინგრადიდან გავემგზავრეთ საქართველოში, სადაც გერმანელებს არასდროს მიუღწევიათ და რომელიც არის საბჭოთა რუსეთის და შესაძლოა - მთელი მსოფლიოს ერთერთი უმდიდრესი მხარე. ქართველები უკეთესად არიან ჩაცმულები, უფრო ხალისიანად გამოიყურებიან და ჩვენ მივხვდით, როგორი იქნებოდა საბჭოთა კავშირი, მეორე მსოფლიო ომი რომ არ გაჩაღებულიყო." სტეინბეკი კი განაგრძობს: "ყველგან, სადაც კი მოვხვდებოდით რუსეთში, უკრაინაში თუ სტალინგრადში, ყველგან გამუდმებით გესმოდა მაგიური სიტყვა "საქართველო". ადამიანები, რომლებიც ერთხელაც კი არ ყოფილან საქართველოში და შესაძლოა, ვერასდროს მოახერხონ იქ ჩასვლა, ლაპარაკობდნენ საქართველოზე აღფრთოვანებითა და მისი ნახვის დაუოკებელი ნადილით... ჩვენ უკვე გვჯეროდა, რუსების უმრავლესობა იმედოვნებს - თუკი პატიოსნად და ზნეობრივად ვიცხოვრებთ, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში კი არ ამოვყოფთ თავს, არამედ საქართველოშიო."

▼▼  
**ადამიანები, რომლებიც ერთხელაც კი არ ყოფილან საქართველოში და შესაძლოა, ვერასდროს მოახერხონ იქ ჩასვლა, ლაპარაკობდნენ საქართველოზე აღფრთოვანებითა და მისი ნახვის დაუოკებელი ნადილით... ჩვენ უკვე გვჯეროდა, რუსების უმრავლესობა იმედოვნებს - თუკი პატიოსნად და ზნეობრივად ვიცხოვრებთ, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში კი არ ამოვყოფთ თავს, არამედ საქართველოშიო.** ▼▼

ჯონ სტეინბეკი - "რუსული დღიურები"

სტეინბეკი და კაპა საქართველოში ათი დღე დარჩნენ. თბილისი, მცხეთა, ვიზიტი ატენელი კოლმეურნის ოჯახში, შეხვედრა ქართველ მწერლებთან მანაბლის 13-ში, ჩაქვის ჩაის პლანტაციები, ქობულეთის ციტრუსის ბაღები, ბათუმის ნავსადგური, სტალინის სახლ-მუზეუმი გორში - ეს ის მარშრუტებია, რომლებიც თანმიმდევრულად აისახა კაპა-სტეინბეკის ფოტოებში და ტექსტში. საერთო აღფრთოვანება,

სასტუმრო "თბილისის" უხეირო სამზარეულო და ორკესტრმა და ვერც, მწერლებთან შეხვედრაზე ერთ-ერთი მწერლის მიერ გაუმართავ ინგლისურზე წაკითხულმა მოხსენებამ, რომლიდანაც სტუმრებისთვის ნახევარზე მეტი გაუგებარი დარჩა. "ზღაპრულ ქვეყანას" - ასე მონათლა საქართველო ჯონ სტეინბეკმა - ამერიკელთა დუეტი შტაბბეჭდილებებით აღფრთოვანებული ტოვებენ. "რუსულ დღიურებში" ვკითხულობთ: "საოცარი ადამიანები ცხოვრობენ საქართველოში. ეს ქვეყანა მართლაც ერთ-ერთი უმდიდრესი და ულამაზესი ადგილია მთელი დედამიწის ზურგზე და ეს ადამიანები ღირსნი არიან მისი. ჩვენ უკვე მშვენივრად მივხვდით, თურათომ ჩაგვიჩინებდნენ რუსები: ვიდრე საქართველო არ გინახავთ, ჩათვალეთ, რომ ჯერ არაფერი გინახავთო."

ჯონ სტეინბეკი და რობერტ კაპა საქართველოდან მოსკოვში მიემგზავრებიან. მოსკოვიდან ამერიკაში გამგზავრების წინ კი საბჭოთა უშიშროების სამსახურმა კაპას ნეგატივების (დაახლოებით 4 ათასი ცალის) შემონახვა და გაცხრილვა მოითხოვა. ცენზორთა ვერდიქტის მოლოდინით განამუშავებული კაპა "კონტრერევილუციურ" გეგმებს ადგენდა და თვითმკვლელობის ვარიანტებზე მსჯელობდა. სტეინბეკს დაჟინებით ეკითხებოდა, აუსრულებდნენ თუ არა თხოვნას, თავი მოეკვეთათ მისთვის წითელ მოედანზე.


ნეგატივების კოლოფი კაპას თვითმფრინავში ასვლის წინ დაუბრუნეს და მოთხოვეს, არ აეხსნა ლუქი, ვიდრე თვითმფრინავი არ დატოვებდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. კაპა ცდილობდა კოლოფის წონის მიხედვით განესაზღვრა, რა რაოდენობის ნეგატივები დაექვემდებარა კონფისკაციას. და ბოლოს, როდესაც ინსტრუქციის შესაბამისად კოლოფი გახსნა, დამშვიდდა, რადგან აღმოჩნდა, რომ მნიშვნელოვანი არაფერი აკლდა. ასე გადარჩა ამერიკული დუეტის საბჭოთა კავშირში მოგზაურობის ამსახველი ფოტოები, რომელთა შორისაც რობერტ კაპას თვალით დანახული საქართველოც არის.





# რიბითი სისულელე ბრძნული შესავალით

"С каждого надо спрашивать то, что он может дать. Власть прежде всего должна быть разумной. Если ты повелишь своему народу броситься в море, он устроит революцию. Я имею право требовать послушания, потому что веления мои разумны".  
ანტუან დე სენტ-ეპიუპერი.  
"პატარა პრინცი".



ნომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ნამდვილად ბევრი რამ გაკეთდა, გამოსწორდა, ამოშავდა და, შესაბამისად, დაფასდა და აღინიშნა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მუშაობა საგრძნობლად რომ გაუმჯობესდა, ცივილიზებული ქვეყნების აეროპორტებს რომ დაემსგავსა, ამაზე, პირადად მეც, არაერთხელ დამინერია. ლამაზ, ახალ, სუფთა ფორმებში ჩაცმული აეროპორტის, საბაჟოს თანამშრომლები, მესაზღვრეები მგზავრებს ოპერატიულად, თავაზიანად, პროფესიულად ემსახურებოდნენ და ყოველგვარი შეფერხებების, რიგების, აურზაურის ან, მით უმეტეს, სხვადასხვა ნიშნით ხალხის დიფერენცირების გარეშე აცილებდნენ ან ხვდებოდნენ. ასე იყო, როგორც ჩვეულებრივი, ისე VIP მგზავრებისთვის. იყო და შეიძლება დღესაც ყოფილიყო, ქართველებისთვის დამახასიათებელი ერთი, ფრიალ უცნაური თვისება რომ არაა - შექება არ გვიხდება. მომენტალურად ვიფერებთ, ერთჯერად წარმატებას ვიჯერებთ, მიღწეულით ვკმაყოფილებით, ვდუნდებით და ხელ-ნელა ყველაფერს ვაფუჭებთ. მოგზაურობებიდან დაბრუნებული ნაცნობებისგან დღეს აეროპორტში არსებული მდგომარეობით, მომსახურების ხარისხით, რიგებით, ბარგის დაგვიანებით და, რაც მთავარია, სხვადასხვა რანგის ჩინოსნების ან უბრალოდ ნაცნობების ურიგოდ, ელემენტარული შემთხვევების გარეშე გატარებით უკმაყოფილება, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო ხშირად მესმის. მუშაობის ძველებურ, ანომალიურ სტილზე დაბრუნების ტემპით, ხალხის განსაკუთრებით VIP-ი გამოირჩევა. ეტყობა, კანონის დაცვა, მგზავრების განურჩევლობა ორმაგად რთულია, როდესაც შენს წინ ცნობილი სახე, მთავრობის წევრი ან, უბრალოდ, სქელი ჯიბის პატრონია, რომელიც განსაკუთრებულ პირობებს, ყოველგვარ ჩარჩოებს აცდენილ მომსახურებას ითხოვს.

სურდული კანონი დაგვიტოვა, რასაც, მგონია, რომ ყველანი ერთად, ჩვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ვებრძვი და აღმოფხვრასაც ვცდილობთ. "სულელურ" კანონში ისეთს ვგულისხმობ, რომლის შესრულება ფაქტობრივად, შეუძლებელია, რომლის დასარღვევად ათასი სხვადასხვა გზა არსებობს, რომელიც სწორედ ამ "სისულელის" გამო კორუფციის, გარიგების ოპტიმალურ საშუალებას იძლევა, ნებისმიერი ტიპის მოქალაქეს კანონდარღვევაზე ხელოვნურად უბიძგებს და რომელიც ელემენტარულ ლოგიკას არის აცდენილი.

5-6 წლის წინ (მაშინ მგზავრობა საკმაოდ ხშირად მიხვედა) ერთი, საშუალო ზომის ჩემოდნის და, შესაბამისად, მხოლოდ პირადი ნივთების ანაბარა თბილისის აეროპორტში გვიან ღამით ჩამოვფრინდით. ერთი თან ერთად ჩამოვფრინდით მგზავრების ნაწილმა უზარმაზარი ყუთები ურიკაზე დააღადა და აეროპორტი შეფერხების გარეშე დატოვა, მე კი, ჩემი ერთი ჩანთით, მეზაჟემ გამაჩერა, "სამას ლარზე მეტი ნაყიდი თუ გაქვთ, უნდა გადაიხადოთ", მითხრა და ბარგის გახსნა მოითხოვა. ჩემი სამი ქალიშვილისთვის, დედისთვის, ქმრისთვის, ერთ-ორი მეგობრისთვის თითო საჩუქარი მქონდა ნაყიდი. მეზაჟემ ჩემოდანი საგულდაგულოდ დაათვალიერა, მისი შემადგენლობის არაკომერციულობაში დარწმუნდა, მაგრამ სამას ლარზე მეტის ბაჟის გადახდა მაინც მოითხოვა. გადასახდელი თანხის ოდენობა, როგორც თვითონ ამიხსნეს, "სპეციალური ექსპერტის" მონვევით, "ექსპერტის" ჩატარებით უნდა დადგენილიყო. ჩემ მიერ ნაყიდ ნივთებს ფასების იარლიყები მოხსნილი ჰქონდა, ამიტომ "ექსპერტის" იდეა საკმაოდ აბსურდულ-არარეალური მომეჩვენა, გავაპროტესტე, ცოტა ვიჩხუბე, ბოლოს, კოზირის სახით, აეროპორტის ნაცნობი თანამშრომლის სახელი ვახსენე. გაჭრა და თავი დამანებეს. შემდგომ წლებში სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისას ამგვარი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ განმეორდა და ისიც უშედეგოდ დასრულდა.

რატომღაც, გულუბრყვილოდ მეგონა, რომ პოსტრევოლუციურ საქართველოში, სხვა ანომალიურ გადმონაშთებთან ერთად, ეს იდიოტური კანონიც აღმოფხვრა, გაუქმდა. მაგრამ დაახლოებით ორი კვირის წინ ჩემი მეგობარი მოსკოვიდან ჩამოვფრინდა. ყოველგვარ კომერციულ მიზნებს მოკლებული პირადი ბარგი საკმაოდ დაგვიანებით მიიღო და ის იყო წამოსვლას აპირებდა, რომ მრისხანე, კანონის ენით მოსაუბრე მეზაჟემ გადაელოდა და სამას ლარზე ზემოთ შეძენილი ნივთების განბაჟება მოსთხოვა. ჩემგან განსხვავებით, მეგობარი ნაკლები გულუბრყვილობით გამოირჩევა, ამ სულელური კანონის შესახებ ახსოვდა და ყველაფრის ქვითრები წინდახედულად შენახული ჰქონდა. მათ საფუძველზე გამოდიოდა, რომ კანონით დაახლოებით ასი ლარის გადახდა უნებდა. მეზაჟეს, ეტყობა, იმედები გაუცრუვდა, თანხა ეცოტავა და დროის განვლის, მგზავრის მაქსიმალურად განვალებისა და, აქედან გამომდინარე, მისი მოთმინების ამონურვის იმედით "ექსპერტის" გამოძახება მოითხოვა. მეგობარი ამასაც დათანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ "ექსპერტი" ადგილზე არ იყო. "უნდა დაელოდოთ", ბრძანა კანონის უზენაესობით შეპყრობილმა მეზაჟემ. როგორც განსაზღვრული იყო, ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ დალოდ, შვილებმონატრებულ მეგობარს მოთმინებამ უმტყუნა და მეზაჟეს ასი ამერიკული დოლარი გაუხვდა. კანონის მოდარაჯე მეზაჟემ ამჯერად თანხით დაკმაყოფილდა და ყოველგვარი გადახდის ქვითრის გაცემის, "ექსპერტის" ან მით უმეტეს, კანონის წინაშე სინდისის ქენჯნის გარეშე, სრულიად დაუფარავად, სიფრთხილსა და მაღლის გარეშე აეროპორტის დანარჩენ თანამშრომელთა თვალწინ ფული ჯიბეში ჩაიდო (ეტყობა, მერე ინანილებენ) და მეგობარი სახლში გაუშვა.

მგონია, რომ ჩემს მიერ მოყოლილი ეს ფაქტი კორუფციას მიეკუთვნება. არ ვიცი ამგვარი კლასიკური გამოძალვა რომელი მუხლით,

როგორ, რომელი უწყების მიერ კონტროლდება, ისჯება, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ სანამ ამგვარი "სულელური", შეუსრულებელი, აბსურდული კანონი იმუშავებს, კორუფციას ვერავინ შეებრძოლება. ნებისმიერი კანონი ელემენტარულ ლოგიკას, სამართლიანობას უნდა ემყარებოდეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დამრღვევი, ქრთამის მიმცემ-ამლები ყოველთვის მოიძებნება და ამას წინ ვერაფერი ალუდდება. როდესაც პიროვნებას კომერციისთვის ერთი და იგივე ტიპის გასაყიდი ნივთებისაგან შემდგარი ბარგი მოაქვს, ალბათ ლოგიკურია, რომ განბაჟება გაკეთდეს, პირადად ჩემთვის რაიმე თუნდაც ერთი ახალშექმნილი ნივთი ვაძინებდეთ, რატომ უნდა გადავიხადო? როგორ წარმოვიდგინო, რომ ადამიანს ერთი ფეხსაცმლის ყიდვის და საკუთარ ქვეყანაში განუბაჟებლად შემოტანის უფლება არა აქვს, რომელმაც მეზაჟემ ან "ექსპერტმა" უნდა დაადასტუროს, რა ოდენობის ტანსაცმლით ნავედი დარამდენით დავბრუნდით; რა ვიყიდე და რა არის ჩემი, ძველი; რა მედო "კოსმეტიკაში" და რა დავამატე; რაში რამდენი გადავიხადე; სათვალე ნავილე თუ იქ ვიყიდე, თბილისის ბაზრობაზე შეძენილი ზუსტი კოპია თუ რომელიმე ცნობილი დიზაინერის ორიგინალი; ჩანთა პარიზის მეტროში არაბისგან თხოვმეტ ვეროდ შევიძინე, ორი ათასი ევრო "შერმესთან" გადავიხადე, თუ გამგზავრების წინ თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში ვიყიდე? ვინ, რომელმაც კანონმა დამითვალოს, განმისაზღვროს, რამდენი საცვალი, თეთრეული, კოსმეტიკა, მარფი, ბიჟუტერია ნავილო, რამდენით უკან დავბრუნდეთ და რა უნდა იყოს მათი საერთო ღირებულება? როგორ უნდა ვინმარო, გაცვითო ქოლგა, საათი ან თმის სამაგრი, მეზაჟემ ან "ექსპერტი" მათ სიძველეში რომ დავარწმუნო და არ განმბაჟებინონ? თუ გნებავთ, ტანსაცმელს თავი დავა-

ნებოთ, თუმცა სამასი ლარისთვის ესეც სრულიად საკმარისია და წარმოვიდგინოთ, რომ მთელი ფულით ჩემთვის ერთი ლეპტოპი ვიყიდე. ჩემთვის პირადად! რატომ უნდა განვბაჟო ან მით უმეტეს, მეზაჟეს ერთი პირადი კომპიუტერის გამო ქრთამი რატომ უნდა მივცე? არადა, მოგზაურობიდან დაბრუნებულ თითოეულ მგზავრს სახლში მიეჩქარება, დამხვედრი, მონატრებული ოჯახის წევრები ელოდება, დალილია და რაღაც მოგონილი, გაუგებარი "ექსპერტის" გამო აეროპორტში საათობით ყურყუტს, კანონმორჩილების მიუხედავად, ქრთამის მიცემა და ხელოვნურად შექმნილი დაპერტიკების თავიდან აცილება ურჩევნია. მეზაჟემაც ეს კარგად იცის, მგზავრის ფსიქოლოგია შესწავლილი აქვთ და ამით სარგებლობას ავარიდოთ, მათი სურვილის სანაღმდეგოდ კანონდარღვევისკენ არ ვუბიძგოთ და სულელურ-არარეალურ-ალოკურ-ურ-შესრულებელი კანონი გავაუქმოთ.

როგორ დავიჯერო, უკეთესი არ იქნება, ელემენტარულ ლოგიკას მოვუხმობთ, კორუფციის ერთი ხელოვნური საშუალება აღმოფხვრათ, მგზავრები შეურაცხყოფელ ნერვიულობას ავარიდოთ, მათი სურვილის სანაღმდეგოდ კანონდარღვევისკენ არ ვუბიძგოთ და სულელურ-არარეალურ-ალოკურ-ურ-შესრულებელი კანონი გავაუქმოთ.

აი, რა ცუდია მგზავრების მომსახურება რეგალიების მიხედვით. აი, რა მავნეა ხალხის დიფერენცირება! ჩვენი ხელისუფლება, მთავრობა, დეპუტატები კანონის სრული დაცვით არმგზავრობდნენ, დარწმუნებული ვარ, ამ "სულელურ" კანონსაც შეეჯახებოდნენ, სასწრაფოდ გააუქმებდნენ და თავის, სამას ლარზე ბევრად მეტად ღირებულ კოსტიუმებს, ჰალსტუხებსა და აქსესუარებს ნამდვილად არ განბაჟებდნენ. ისე კი, არც იცინა, რომ უბრალო მოკვდავებისთვის ამგვარი კანონი არსებობს.

**P.S.** ახლა, უცბად, ეჭვი გამიჩნდა - არსებობს საერთოდ ამგვარი კანონი, თუ, უბრალოდ, ცალკეული მეზაჟეების ფანტაზიაა?



მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიოს მსგავსად საქართველოც ქათმის გრიპის საფრთხეს ყველა არსებული საშუალებით ებრძვის, თბილისის შუაგულში, ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალზე, ვარაზის ხევში, რიგით შუშის საქათმეს ვინ გვიშენებს?  
ამ ნაგებობას ერთადერთი გამართლება ექნება, თუ მასში ასეთ საჭირო, ფაქტობრივად, თბილისში არარსებულ, თუნდაც ფასიან საზოგადოებრივ ტუალეტს გახსნიან. ისე კი, არსებული შუშის საქათმეები როგორ მოვიმორთო, იმაზე ვფიქრობთ და ახალ სატკივარს რატომ, ვის, რისთვის ვაშენებინებთ?





თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.

რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მზნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.

რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრადიციული მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.

რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.

იქნებ ამ "აღმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდაჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.

P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.

# საით არის საქართველო?

- ბატონო თემო, მოდი, პირდაპირ თქვენი წინაპრებით დავინწყოთ, საიდანაც თქვენ თვითონ იწყებით. ვიცი, რომ თქვენ ქართული მაჭავარიანები ხართ.

- ჰო, გაფხეკილი აზნაურები. მამაჩემი მეუნებოდა, თავადობა არასოდეს დაიბრალოო. ჩვენი სოფელი სადღაც ტყვიავის მაღლა იყო... ერთხელ ვარ ნამყოფი, ბავშვობაში... ცუდად ვიცი ქართული... ბებიჩემი მახსოვს - ჩიხტიკოპით რომ იწვა კუბოში. ელისაბედ ჩერქეზიშვილთან მეგობრობდა თურმე. მოცეკვავე ქალი ყოფილა და უძახდნენ "კუკნა-ნინას", ალბათ "ჭ"-ს მიხედვით... მამაჩემი სპორტსმენი იყო. "შევარდენისტი". ორი სკოლა ჰქონდათ - ქუთაისსა და თბილისში. მამაჩემი თბილისის სკოლის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვებიდანაა.

- როგორც ჩვენი ძველი საუბრებიდან მახსოვს, მამა იუნკერი იყო.

- დიახ.  
- რეპრესიები შეეხო? თუ გადარჩა?  
- გადარჩა. დედაჩემი რომ შე-



თემო მაჭავარიანი

## მხატვარი

დაიბადა თბილისში, ვერისუბანში, ბელინსკის ქუჩაზე, მამისეულ სახლში.

ბოლო ხანებში, სამშენებლო ფირმასთან "წარმატებული" გარიგების შემდეგ, დარჩა უსახლკაროდ.

თბილისის ქუჩები, მოლბერტი, თემო... ანდა პირიქით.

ჯეიმს ჯოისის შემოქმედების მიმოხილვისას, ლიტერატურის ექსპერტი წერს, არაფერი რომ არ გვცოდნოდა დუბლინის შესახებ, მისი წიგნების საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა ამ ქალაქის სახის დეტალურად აღდგენა.

ჯვარი ეწეროს დუბლინსაც და ჩვენს დედაქალაქსაც, უბრალოდ, იგივე სიტყვები შეიძლება ითქვას თემო მაჭავარიანსა და თბილისზე.

მისი ნახატები შორეულ მომავალშიც მოჰყვებიან ამბავს, არა მარტო იმის შესახებ, თუ როგორი იყო თბილისი, არამედ იტყვიან, - რა არის თბილისი.

კავსო. გადავარჩიეთ რამდენიმე - ნამდვილი კუბისტური ნახატები იყო. მერე ჩემს ცოლს ვაჩუქე და დამიკარგა. ერთი სიტყვით, ვაჩვენებ გუდიაშვილს. ძალიან მოეწონა. მითხრა, გინდა, ტექნიკუმის ღირეპტორს დაუწერეკავო. როგორ გეკადრებათ-მეთქი. ჩავშალე ყველაფერი. მხატვარი ვარ. არც აღდგენა მინდა, არც არაფერი. ვზივარ და ვხატავ. მაშინ მამაჩემი ადგა და გამაფორმა 31-ე საავიაციო ქარხანაში - ჯავშანი აქვს და ჯარში არ წაიყვანენო. სადღაც გადასაკარგავშია. ტრამვით უნდა წახვიდე, დილით 6-7 საათზე უნდა ადგე, რომ დროზე



"წინაპრებიდან ერთი გამორჩეული კაცი მინდა გავიხსენაო. ბაბუაჩემის ძმა იყო."



ბაბუის ძმის საფლავი ვილნიუსში.

ერთო ცოლად, თქვა, კომუნისტი ვარ და მზითვეს არ ვიღებო. წინაპრებიდან ერთი გამორჩეული კაცი მინდა გავიხსენო - ვილნიუსშია დაკრძალული. ბაბუაჩემის ძმა იყო. როცა ჟორდანიანთა თავის მთავრობით საფრანგეთში წავიდა, ეს გადასულა ვილნიუსში, რომელიც მაშინ პოლონეთს ეკუთვნოდა, რათა მერე, როგორც კი აჯანყება დაიწყებოდა, იქიდან შემოსულიყვნენ. ეს ხალხი ემიგრაციაში კი არ წასულა, საომრად წავიდა, უფრო სწორად, ომისთვის მოსამზადებლად.

- როგორც ვიცი, 1924 წელს, აჯანყება რომ იგეგმებოდა, აჯანყებულებთან შეერთებას აპირებდნენ...

- ჰო. რუსის არმიის პოლკოვნიკი იყო, მერე ჩამოაქვეითეს, კაპიტანი გახდა... ჯილდოებიც ჰქონდა მიღებული.

- ესე იგი, წინაპრების კვალს გაჰყოლიხართ, როცა სამხედრო სკოლა-

ში წახვედით სასწავლებლად. მგონი, სპორტსაც მისდევდით...

- მამაჩემს უნდოდა, სპორტსმენი გამოვსულიყავი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ისე, სპორტის მრავალ სახეობას მივდევი - ძიუდოს, ცურვას, ფარიკაობას... სამხედრო სკოლა მოვივინებოთ იყო, ჯარის მერე. მანამდე - სკო-

ლიდან სამხატვრო ტექნიკუმში გადამიყვანეს. ჰოდა, ტექნიკუმში გავხდი კუბისტი. ვიჯექი და ვხატავდი. სხვას არაფერს არ ვაკეთებდი. გამრიცხეს. ავთო ვარაზმა მითხრა, მოდი, გუდიაშვილთან მივიდეთ, შენი ნახატები ვაჩვენოთ, მოეწონება და ტექნიკუმის ღირეპტორს დაურე-

# საით არის საქართველო?



პაპიდა.

მიღწეო. ერთი თვე ვიმუშავე. მერე იქიდანაც გამოვიქეცი და წავედი ჯარში... იქიდან რომ ჩამოვედი, ორი წელი ვაბარე სამხატვრო აკადემიაში. ჯერ ფერწერაზე, მერე გრაფიკაზე, ქულა მაკლდებოდა. მერე გამაცნეს ლეო რჩეულიშვილი. ვილაპარაკეთ. მოვეწონე. დავუწერე რეფერატი, თუმცა, წერტილ-მძიმე არ ვიცოდი. წერა არც ახლა მხეხვება. ლეომ თქვა, თუკი არსებობს აბსოლუტური სმენა, ამას აბსოლუტური ხედვა აქვსო. რეფერატი "დანაიაზე" იყო. წითელზე ავაგე ყველაფერი. ლაქობრივად. წამყვან დეტალზე. ავთო ვარაზმა რომ წაიკითხა, მითხრა, რად გინდა აკადემია, მხატვარი ხარო. ერთი სიტყვით, ვზივარ, ვხატავ. მაგრამ უბნის ინსპექტორი დადის, რატომ არ მუშაობო. მაშინ სტაჟი უნდა გქონოდა, სადმე გემუშავა. შრომის ნიგნაკი თუ არ გქონდა, კაცი არ იყავი. ხატვას

მუშაობას არ უძახდნენ. სამსახური ვერაფერი ვიმოვე და ოპერაში მომანყვეს სცენის მუშად. ბოლოს ავთომ მითხრა, კაი, ჰო, ჩააბარეო. უფასო ნატურა მაინც გეყოლებათ, შეიძლება, სტიპენდიაც მოგცენო. ერთი სიტყვით, ბოლოს ჩავაბარე - ხელოვნებათმცოდნეობაზე. მესამე კურსი რომ დავხურე, ლეო რჩეულიშვილმა მითხრა, რას ნვალობ ამ ხელოვნებათმცოდნეობაზე, გადადი თეატრის მხატვრობა-

ზეო. ნიჭიერი ხალხი იყო - გოგი მესხიშვილი, უმანგ იმერლიშვილი, მირიან შველიძე. დავამთავრე ეს თეატრალურ-დეკორატიული ფაკულტეტი... ერთხელ ავთო ვარაზი მოვიდა ჩემთან. უკვე ავად იყო. ვიჯექი, ვხატავდი. ერთხანს მიყურა. შენ აღარა ხუმრობო. მერე მთხოვა, სასმელი ამოიტანეო. ჩავედი, ამოვიტანე.

- არაყი?

- ჰო, დავლიეთ. წასასვლელად რომ ადგა, გამოვეყვი, გაგაცილებ-მეთქი. გავაჩერეთ "კოლხოზნიკი". ჩავსხედით. ავთო წინ ზის, მე - უკან. მიწა სახლამდე მივაცილო. მძლოლს ეკითხება, საქართველო საით არისო. მძლოლს უკვირს - ვა, რომელი, სასტუმრო? - არა, საქართველო საით არის...

- მერე, და საით არის საქართველო? დროული კითხვაა.

- რთული კითხვაა. ვისთვის - ჩრდილოეთით, ვისთვის - სამხ-



მამაკაცის პორტრეტი.

რეთით, ვისთვის - დასავლეთით, ვისთვის - აღმოსავლეთით...

- ისეთი ტაქსი რომ გვაპოვნინა... ჩავსხდეთ, ვუთხრაო - საით არის საქართველო... და მიგვიყვანოს. მაშინ რაღა აზრი შერჩევა ცხოვრებას. ჭეშმარიტება ხომ მარადიულ ძიებაშია.

- ერთი სიტყვით, დავამთავრე აკადემია. ვზივარ, ვხატავ...

ოჯახში უფულოდ ვართ. ერთხელაც მოდის ერთი ნათესავი, შეკვეთა მოგიტანე, ოთხი ნახატია საჭირო, თითოში ათი ათასს იხდიანო. რაღაც თემატური ნახატები უნდოდათ - ბელადი და ბავშვები, თუ რაღაც ამდაგვარი. ახლოსაც არ გავიკარე. რას ამბობ, მაგას როგორ ვიზამ, ჯერ მოგკვდები-მეთქი. ასე ჩაიშალა ჩვენი შეკვეთა. არადა, მაშინ

ქვეყნის ხალხი მუშაობდა ეგეთ მეკვეთებზე.

- თუმცა, იმ პერიოდში ისეთი მძაფრი რეპრესიები აღარ იყო. თვითონ თუ შესთავაზებდი თავს, თორემ თემატური ნახატისთვის გვერდის ავლა სიცოცხლის ფასად არ გიჯდებოდა. ძალით არავინ დაგახატვინებდა.

- რა თქმა უნდა. ბევრი, იცით, რას აკეთებდა - დადებდნენ ფოტოს - ლენინი ბავშვებთან - გადახატავდნენ, ვიღაც დაფარავდა. ამას ისეთი მხატვრებიც აკეთებდნენ, დღეს რომ ძალიან ცნობილები არიან.

- მოდი, ახლა დღევანდელ დღეს გადავხედოთ. ადრეც ბევრი გვილაპარაკია თბილისზე, მის ძველ უბნებზე...

- იცით რა, მე ძალიან პატარა მხატვარი ვარ და პრეტენზია არა მაქვს. მხოლოდ ერთი რამ მინდა - დავაფიქსირო ის, რაც შემორჩენილია. იქნებ, სულაც აქცია მოგვეწყოს - გამოფენა-აქცია. დოკუმენტურად დავაფიქსირებ.

- ორი კედელი დავტვირთოთ. ერთზე გამოვფინოთ ის, რაც დახატული გაქვთ და აღარ არის. მეორეზე - ის, რისი გადარჩენაც შეიძლება. ამ ძველ ქალაქში არის უბნები, სახლები, რომლებიც მხოლოდ მხატვრის ტილოებსა და ფოტოებზე შემორჩა. რეალობაში აღარ არსებობს. იქნებ ის მაინც აღარ წაიშალოს, რაც დარჩა. ბოლო დროს მცირე სასიკეთო ძვრები არის ამ მხრივ. რაღაც კეთდება. პირადად მე მომეწონა შენობების განათება. ეტყობა, რომ ამ საკითხზე საქმის მცოდნე ჯგუფი მუშაობს.

- ჰო, რაღაც კეთდება. ბოლოს და ბოლოს, ცოტათი მაინც გასუფთავდა ქალაქი.

- იქნებ, ყოფაზეც გვეთქვა ერთი-ორი სიტყვა.

- ყოფა კომპარია. მაგაზე რა



პალინსკის ქუჩა



ნატურმორტი.



მხატვრის ქველი სახელოსნო.

# საით არის საქართველო?

უნდა ვთქვათ. საშინელებაში ვართ, უმუშევრები, უფულოები, მუქთახორები.

- მუქთახორებსაც ვერ ვიტყვი...

- აბა, მხატვარი რა არის? უსაქმური, აბა რა.

- უბნის ინსპექტორიც ვერ ვარ გეუბნებოდათ. ერთი ამბავი გამახსენდა. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. I და II კურსი ფრიადებით დავხურე და გიორგი ახვლედიანის სახელობის სტიპენდია მომცეს. ერთხელაც დამიბარეს ფაკულტეტის კომკავშირის მდივანთან. მითხრა, კარგად რომ სწავლობთ, ეგ ძალიან კარგია, მაგრამ კიდევ რა საზოგადოებრივი დატვირთვა გაქვთო. ვერც გავიგე, რას მეკითხებოდა. სტუდენტი ვარ,

ეხს. ნატო-ში გვინდა შესვლა და ეს ძალიან სწორია; ნატო უსაფრთხოების გარანტია. მაგრამ ჩემთვის მთავარი კითხვაა - უსაფრთხოება რისთვის გვინდა?

- რამე რომ შეიქმნას, არა?

- რა თქმა უნდა. თუ რამე ღირებული არ შეიქმნა, ეროვნული სულიერი სამყარო თუ არ გამდიდრდა, რა დიდი აზრი ექნება ჩვენს უსაფრთხო ყოფას, მეტადრე მაშინ, როცა შიდა უსაფრთხოების (ვეჯლისხმოვ გათავხედებულ ჩინოვნიკებსა და დაუცველ მოქალაქეს) გარანტიად საზოგადოების მეტი

სხვა თემებზე. გადადის მსოფლიოს ამბებზე - რა მოხდა ბრაზილიაში, რა მოხდა ერაყში, გადადის სპორტზე, მერე გადადის ამინდზე და სადღაც, სულ ბოლოს, როცა უკვე აღარც ელი, გაკრთება სიუჟეტი კულტურაზე. ესაა სამყარო, რომელსაც ჩვენში საერთოდ აღარ ენიჭება მნიშვნელობა.

- რუსებს სულ რომ ვლანძლავთ, ბევრი რამე სამაგალითო აქვთ. კულტურისადმი დამოკიდებულება სხვანაირი აქვთ. მოსკოვში ყოველდღე რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. ამაში მაინც მივბაძოთ. ბოლოს და ბო-

- ეს პიროვნებებზეა. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ყოველგვარად არანორმალურია. ფუფუნებაში ხომ არ მოვიტოვებთ. ფუფუნებაში ცხოვრება უინტერესოა, ელემენტარულზეა ლაპარაკი.

- ფასეულობებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, ნახატი "ევრორემონტის" დამატებად, აქსესუარად არ უნდა აღიქმებოდეს. ადამიანი ხელოვნებიდან, ნიგინიდან, მხატვრობიდან, მუსიკიდან სულიერ საზღვრებს უნდა იღებდეს.

- თუმცა, მართლა სამკურნალო თვალსაზრისით რომ ვთქვათ, კარგი ნახატი, კარგი

დაიკარგა და ის, რისი გადარჩენაც შეიძლება.

- შეიძლება, სიმახინჯეც დაიხატოს.

- ერთი უკიდურესობა კვებასაც მეორე უკიდურესობას ურავლებს. ურავლებს ანაზღაურებას პროვინციული, ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული კულტურის მიმართ. თავის დროზე, როცა ჩვენ ძველი ქალაქის დაცვა წამოვიწყეთ, ამ სფეროში სრული განუკითხობა იყო. მხოლოდ იმას ვესწრაფოდით, რომ სპეციალისტებისთვის რამე ეკითხათ. არაფრად ავდებდნენ არც ძეგლთა დაცვის სამმართველოს, არც ხელოვნებათმცოდნეებს. ჩვენ შევძელით მიგვეღწია, რომ ამ ხალხს უსმენენ მაინც, რომ ამ საკითხის მიმართ შეიქმნა კე-



იქნებ, რაღაც აქცენტი მოგვეუწიო - ბაგრაძისა.

ვსწავლობ, სხვა რა უნდა გავაკეთო. კიდევ ლექსის წერას ვსწავლობ, თან ვწერ-მეთქი. ეგ საზოგადოებრივი დატვირთვა არ არისო. დღესაც არ ვიცი, რას მეკითხებოდა. იმ უბნის ინსპექტორით, არც მას მიაჩნდა შრომად ლექსის წერა.

- ქარხანაში უნდა ყოფილიყავი, კედლის გაზეთი გეკეთებინა, პლაკატები გეხატა... მერე, ბრეჟნევის ეპოქაში, ჩინოვნიკებმა ევროპაში სიარული დაიწყეს და ნახატების ყიდვაც მოუხდათ. ტაშტებსაც იკიდებდნენ სახლში, კედლებზე.

- ახლაც ვგერა. "ევრორემონტს" გაიკეთებენ და უცებ გაახსენდებათ - კარგი მხატვარი ვინ არის, რომ იმის ნახატი დაკიდონ. არადა, გაუგებარია, თუ "ევრორემონტი" გინდა, ნახატი რად გინდა. თუ ნახატი გინდა, "ევრორემონტი" რაღად გინდა. ერთი კიდევ, რაზეც მხატვრის აზრი მაინტერეს-

არავინ დგება. უსაფრთხოება მოსაპოვებელია გარეც და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, შიდაც; არა მხოლოდ უსაფრთხოებისათვის, არამედ იმ ასპარეზის შესაქმნელად, სადაც ფრთას გაშლის ქართული საზოგადოება. იცით, რას ვგულისხმობ? დრო მიდის, თაობები ერთმანეთს ენაცვლება და ყველა გენერაცია განისაზღვრება იმით, თუ რა შემატა სულიერ სამყაროს, თავისი ქვეყნის, თავისი ერის კულტურის ისტორიას. ჩვენ რა შევმატეთ?

- არაფერი, ყველგან ვაჭრუკანობაა გაჩაღებული.

- მასმედიაც ხელს უწყობს ღირებულებების დევალვაციას. ვთქვათ, მიდის საინფორმაციო გამოშვება. იწყება იმით, რომ ეს იმას შეხვდა, ამან ესა თქვა, მერე - იმან ეს მოკლა, ამან ეს დაჭრა, გაძარცვა, ის დაჭირეს... მერე გადადის

ოს, ფიროსმანის ათ ნახატს რომ ნაიღებ ჰოლანდიაში, აქეთაც ჩამოიტანე ათი ვან გოგი ან რემბრანდტი, ხომ შეიძლება?

- მოსკოვში მართლა ყოველდღე რაღაც ხდება. დიდი მასშტაბი. სულიერი საზღვრები შეიძლება, სარდაფში არსებობდეს, მაგრამ იქიდან გამომხეურება ხომ სჭირდება. აი, ამის ხელშეწყობა უნდა ხდებოდეს სახელმწიფოსაგან.

- ამის სურვილი არ არის. მართლაც სახელმწიფო კი არა, პიროვნებებიც, ხელოვნებას არაფრად მიიჩნევენ. რაღაც დანჯღრეული, დაჭყლეთილი მანქანა უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ნახატი. უსამართლობაა. ფასეულობები არასწორადაა განაწილებული.

- ესე იგი, ყოფილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სულიერი. ალბათ ყველგან და ყოველთვის ვგერა. მაგრამ ყველგან და ყოველთვის იყო წადილი, რომ სხვანაირად ყოფილიყო.

მუსიკა, კარგი ნიგინი ადამიანს კურნავს. ასე არ არის?

- ადრე იყო ტელევიზიაში ასეთი რუბრიკა - "პოეზიის ხუთი წუთი". მე მომწონდა. რაღაცას აკეთებ, ტელევიზორი ჩართული გაქვს და დროდადრო კარგ ლექსს გაიგონებ. არ იყო ცუდი. იმას ვამბობ, რომ ასეთი სიკეთეების აღდგენაზე უნდა ვიფიქროთ, თორემ ჩემი ყოფილი პირობების მოგვარებას არავის ვთხოვ. ჩემს ყოფას არავის ვაყვებო. ასეთი გზა მე თვითონ ავირჩიე და არავინ ჩემთან ვალში არ არის. ხელოვანი ხალხს უნდა ემსახუროს, აქეთ კი არ უნდა იმსახუროს ვინმე. მე მხოლოდ ფასეულობებისადმი დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობ... ისე, ერთი იდეა მაინც დავგვება და ამ საუბარში. იქნებ მოხერხდეს და გავაკეთოთ ექსპოზიცია - ნახატებზე აღბეჭდილი თბილისი - ის, რაც

თილგანწყობილი დამოკიდებულება. თუმცა ეს საკმარისი არ არის.

- ამ წლებში გარემოსე გააფუჭეს, რომ ადამიანებს ნდობა აქვთ დაკარგული. სულ გვემინია, რომ ქალაქს რაღაცას დაუშავებენ.

- არადა, გარემო მათ შორის არქიტექტურულიც, ხანდახან საბედისწეროდ მოქმედებს ადამიანის განწყობილებაზე.

- მე, იცით, რას ვაკეთებ. სისხამ დილით გავდივარ ხოლმე გარეთ. როცა ხალხი არ არის. სიცივეში უკეთესია. საერთოდ არავინ გამოდის... განწყობაც სხვაა, განსაკუთრებულია. ეგ განწყობა უნდა გადაიტანო ნახატში...

- მოდი, ამჯერად საუბარი ასეთი განწყობით დავასრულო, სისხამ დილით თბილისის ცარიელ ქუჩებში გამეფებული იდუმალი განწყობილებით, როცა გგონია, რომ იცი, საით არის საქართველო...

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა  
ბენედეტო კროჩე

# ასასინთა ძნელბედობა

ნოდარ ლალარია  
ლილა ბაზარაშვილი

XIII საუკუნის ფრანგი მონესე, ივ ბრეტონელი ჯვაროსნულ ლაშქრობაში ახლდა საფრანგეთის მეფეს, სიკვდილის შემდეგ წმინდანად შერაცხულ **ლუი IX**-ს. ივ ბრეტონელმა კარგად იცოდა არაბული და ამასთან, როგორც ეტყობა, ფრიადი ცნობის-მოყვარეობაც ახასიათებდა. იქნებ ამ ორი გარემოების წყალობა იყო, რომ წილად ხვდა ეგრეთ წოდებულ ასასინთა სექტის ხელმძღვანელებთან შეხვედრა სირიის ქალაქ მასიაფში.

თავის მოგონებებში ბერი წერს, რომ ერთ დღიას მასიაფის ქუჩაში გამოვიდა და იქ ერთი ქალი შემოეყარა. ქალს ორი ჯამი ეჭირა — ერთში ცეცხლი ენთო, მეორე კი წყლით იყო სავსე. გაოცებულმა ბერმა ჰკითხა ქალს, თუ რას ნიშნავდა ეს ორი ჯამი. ქალმა უპასუხა, რომ ერთით სამოთხის გადაწვა სურს, მეორეთი კი ჯოჯოხეთის ჩაქრობა, რათა ადამიანები ღმერთს არ ემსახურონ არც სამოთხის სურვილით და არც ჯოჯოხეთის შიშით, არამედ მხოლოდ ღვთისადმი სიყვარულით.

ერთობ საინტერესო ამბავია, მაგრამ სინამდვილეში ივ ბრეტონელი არავის არ შეხვედრია ქუჩაში: ამ ქალის შესახებ მოთხრობა მოიპოვება ზოგჯერ ასასინებად წოდებულ ისმაილიტთა წერილობით წყაროებში. ამ იგავთა კრებულებში ქალი მისტიკური არსებობაა, რომელსაც **რაბია** ჰქვია. ვცადოთ საკითხის გარკვევა...

ჯერ წარმოვიდგინოთ ქრისტიანი ბერის მდგომარეობა. ივ ბრეტონელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა არაბულ ნიგნში ამოკითხულმა იგავმა. ბუნებრივად ჩანს მისი სურვილი, ქრისტიან მკითხველამდე მიეტანა ეს საოცარი ამბავი. მაგრამ როგორ? ამის გასაგებად რამდენიმე წუთით მეოცე საუკუნეში უნდა გადმოვხატოთ და კანადელი მკვლევრის, მარშალ მაკლუენის ერთი აზრი გავიხსენოთ: "მედიუმი არის უწყება". მედიუმად მეცნიერები ინფორმაციის გადამტანს მოიხსენიებენ. ასე რომ, მაკლუენის აზრი იმას მიგვანიშნებს, რომ უწყების შინაარსზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ის, თუ ვინ ან რა გვანდის ამ უწყებას. მუსლიმანთა ნიგნში დაწერილი ამბავი ქრისტიანებისთვის ვერაფრით ვერ იქნებოდა ავტორიტეტული, ქრისტიანი ბერის პირადი შთაბეჭდილება კი შუა საუკუნეების ადამიანზე, ასე ვთქვათ, სანქციონებულად, ლეგიტიმურად იმოქმედებდა. ამიტომაც ივ ბრეტონე-

ლმა, გონებაგახსნილმა და თავისუფალი აზროვნების ადამიანმა, თავის პირად მოგონებებში აქცია ისმაილიტთა სულიერი მემკვიდრეობა, რადგან თუ დავივიწყებთ, საიდან მოვიდა დავის მიერ შეიქმნა უწყება, მის ქვეშ მრავალი ქრისტიანი თეოლოგი მოაწერდა ხელს.

სიბრძნის ასეთი მარგალიტები მრავალ სხვადასხვა რელიგიასა თუ კულტურაში გვხვდება. XIII საუკუნის ეროპელმა ბერმა, რომელიც აღმოსავლეთში დამპყრობლებთან ერთად მოვიდა, კულტურათა დაახლოებისკენ ერთი მცირე ნაბიჯის გადადგმა სცადა — თუმცა ის ვერასოდეს იტყოდა

შეგნებულად, რას ნიშნავს "კულტურათა დაახლოება", მაგრამ როდესაც ადამიანი თავის კულტურასა და სარწმუნოებაში ლეგიტიმურ ადგილს მიუჩენს გარეგანი წარმოშობის მქონე ფენომენებს, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამავე დროს მის ინდივიდუალურ გახსნილობას საყოველთაო იდეოლოგიური ფუნქცია ენიჭება.

სამწუხაროდ, სიძულვილისა და ძალადობის იმპულსი, აქედან გამომდინარე კი, ახალი საზღვრების დამდგენი და აღმართველი იდეოლოგიები უფრო ადვილად აღწევენ წარმატებას. ასე იყო ისმაილიტთა შემთხვევაშიც.



ისმაილიტის საფუძვალზე

## მარკო პოლო ასასინთა შესახებ

მულექტად (არაბული "მულჰიდ" — ერთეიკოსები) წოდებულ ქვეყანაში ძველად ცხოვრობდა მთის ბერი. მულექტი ნიშნავს არამთა (არაბული "ჰარამ" — აკრძალული, უკანონო) საცხოვრებელს. ყველაფერს ვადმოგვცემთ, რაც კი მარკომ მოითხოვს. მას კი მრავლისაგან გაუგონია ეს ამბავი. ბერს მათეურად ალა-ოდინი (ალაჰ-ად-დინი) ჰქვია. მას მშვენიერი ბალი გაუშენებია ვაკეზე ორ მთას შორის. ასეთი არავის უნახავს ადრე. იქ ქვეყნად საუკეთესო ნაყოფები მოდიოდა და აშენებული იყო საუკეთესო სახლები და ულამაზესი სასახლეები, რომელთა მსგავსიც მანამდე არავის უნახავს. ეს სახლები მოოქროვილი იყო მსოფლიოში საუკეთესო რამეებით მოხატული. იქვე გაეყვანათ არხები. ზოგში ღვინო იყო, სხვებში — რძე ან თაფლი ანდა წყალი. ქვეყნად უმშვენიერესი ქალები და ქალწულებიც ჰყავდათ. ისინი ყველა საკრავს უკრავდნენ და ყველა სხვა ქალზე უკეთ იცოდნენ სიმღერა და ცეკვა.

ბერი თავის ხალხს არწმუნებდა, რომ ეს ბალი იყო სამოთხე. მან ისე გააშენა ბალი, როგორც მოჰამედმა აუნერა სამოთხე სარკინოზებს. და იქაურ სარკინოზებსაც სჯეროდათ, რომ ეს ბალი სამოთხე იყო. იქ მხოლოდ მას შეეძლო შესვლა, ვისაც ასასინად გახდომა სურდა. შესასვლელში მოუწოდებდნენ ციხე იდგა და მისი ალება ვერავის შეეძლო. სხვა მხრიდან კი ბაღში ვერ შეხვიდოდი.

ბერის კარზე იმყოფებოდა ყველა იქაური ყმანვილი თორმეტიდან ოცი წლის ასაკამდე. ისინი იცავდნენ მას და ყურმოკულად იცოდნენ, რომ მოჰამედი, მათი წინასწარმეტყველი სწორედ ისე აღწერდა სამოთხეს, როგორც მე მოგახსენეთ. კიდევ რა დავამატო? ბერის ბრძანებით შეჰყავდათ ყმანვილები იმ სამოთხეში ოთხ-ოთხად, ათ-ათად ან ოც-ოცად მისი სურვილისამებრ. თანაც ასე: ჯერ ათობდნენ და მძინარენი შეჰყავდათ. მერე კი ალვიებდნენ.

როგორც კი ყმანვილი გაიღვიძებდა, მის დაინახავდა იმას, რაც აგინერეთ, და მართლაც იჯერებდა, რომ სამოთხეში იყო. ქალები და ქალწულებიც მთელი დღე მის ახლოს იყვნენ: უკრავდნენ, მღეროდნენ, ართობდნენ მას, მის ყოველ სურვილს ასრულებდნენ. რასაც კი მოისურვებდა, მაშინვე მოჰქონდათ და თავისი ნებით იქიდან ვერ გამოაღწევდა. თავის კარს ბერი მშვენიერად უვლიდა, მდიდრულად ცხოვრობდა. მთის უბრალო მცხოვრებლებს არწმუნებდა, რომ წინასწარმეტყველი იყო და მათაც სჯეროდათ.

თუ კი მოინდომებდა ბერი თავისიანების გაგზავნას ვინმეს მოსაკლავად, უბრძანებდა საჭირო რაოდენობის ყმანვილთა დათრობას. და როცა დაიძინებდნენ, გამოაყვანიებდა თავის სასახლეში. იქ ყმანვილები იღვიძებდნენ, უკვირდნენ, მაგრამ არ უხაროდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სამოთხიდან თავისი ნებით არავინ გამოდიოდა. მიდიოდნენ ბერთან და მოწილად ეთავყვანებოდნენ, რადგან წინასწარმეტყველი ეგვროდა. ბერი კი ეკითხებოდა, საიდან მოვიდნენ. სამოთხიდანო, პასუხობდნენ ყმანვილები და აღწერდნენ, რომ იქ ყველაფერი ისე იყო, როგორც მათი წინასწარმეტყველებით მოჰამედი. ისინი კი, ვინც ბაღში არ ყოფილან, ისმენენ ყველაფერს და სამოთხეში მოხვედრა სწავლიან. მზად არიან სიკვდილისათვის, ოღონდაც სამოთხეს ეღირსონ. ერთი სული აქვთ, სანამ იქით გაემგზავრებიან. თუ მოინდომებს ბერი ვინმე გამოჩენილი ადამიანის მოკვლას, მაშინვე უბრძანებს ასასინების გამოცდასა და მათგან საუკეთესოთა არჩევას. მრავალ მათგანს ახლობელ ქვეყნებში აგზავნის კაცების მოსაკლავად. ისინიც მიდიან და ბრძანებას ასრულებენ. ვინც გადარჩება, ის ბერის კარზე ბრუნდება. ხდება ხოლმე, რომ მკვლელობის შემდეგ დატყვევებულები ისინი თვითონ იკლავენ თავს.

და როცა გადარჩენილები თავიანთ მბრძანებელთან ბრუნდებოდნენ, ზუსტად მოუთხრობდნენ ხოლმე, როგორ გააკეთეს საქმე. ბერი კი დიდ მზიარულებასა და ნადიმს გამართავდა. კარგად იცნობდა მამაცებს. ყოველ გაგზავნილს განსაკუთრებულ კაცებს გააყოლებდა ხოლმე და ისინიც მოახსენებდნენ, ვინ იყო მკვლელობისას მხნე და განაფული. როცა კი მოინდომებდა ბერი ვინმე გამოჩენილი კაცის ან სულაც ვინმე ადამიანის მოკვდინებას, ყოველთვის არჩევდა თავის ასასინებში რომელიმეს და, სადაც სურდა, აგზავნიდა. მას კი ეუბნებოდა, რომ სამოთხის გზაზე აყენებდა, მაგრამ ამისთვის დათქმულ ადგილას უნდა მისულიყო და დათქმული კაცი მოეკლა, რის შემდეგ მაშინვე მოხვდებოდა სამოთხეში. ვისაც ბერი ასე უბრძანებდა, ის სისხარულით ემორჩილებოდა და, როგორც შეეძლო, ასრულებდა მის ნაბრძანებს. ვის მოკვლასაც მთის ბერი განიზრახავდა, ის არასოდეს გადარჩებოდა. გამოტყუნილად გეტყვით, რომ მრავალი მეფე და თავადი უხდოდა მთის ბერს ხარკს და მასთან მეგობრობას უფრთხილდებოდა.

მთის ბერსა და მის ასასინებზე მოთხრობა დავასრულე ახლა კი აგინერთ, როგორ და ვის მიერ იქნა იგი განადგურებული.

მაგრამ ერთი რამ დამავინწყდა და ახლა დავამატებ: ბერს მისი მორჩილები და მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით მცხოვრებნი მთელ ქვეყანაში ჰყავდა: დამასკოდან ქურთისტანამდე.

ამაზე საკმარისია. ახლა მისი დალუპვის ამბავს მოგიხსნობთ.

ეს იყო 1262 წელს. ალაუმ, აღმოსავლეთის თათართა მეფემ გაიგო მთის ბერის ყველა ბოროტება და მისი განადგურება განიზრახა. შეკრიბა თავისი თავადები და დიდი ლაშქრით წარგზავნა ისინი ხსენებული ციხესიმაგრისკენ. სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ალყა, მაგრამ ციხე ვერ აიღეს. სანოვავე რომ ჰქონოდათ, ვერასოდეს ვერ აიღებდნენ, მაგრამ სამი წლის შემდეგ იქ უკვე საჭმელი აღარ მოიპოვებოდა. ასე დაატყვევეს და მოკლეს ბერი ალა-ოდინი და მისი ხალხი. ამის შემდეგ დღემდე აღარ არსებობენ არც მთის ბერი და არც ასასინები. დასრულდა ბერის მბრძანებლობაც და ის ბოროტებაც, რომელსაც ძველთაგანვე სჩადიოდა.

**შენიშვნა:** სინამდვილეში მონღოლთა ლაშქრობა ისმაილიტების წინააღმდეგ დაიწყო 1253 წელს და დასრულდა 1256 წელს. მთის ბერი ალაჰ-ად-დინი მოკლეს 1255 წელს. რაც შეეხება ისმაილიტთა ციხე-სიმაგრის, ალაშუტის ადგილმდებარეობას, მის შესახებ დღემდე არაა ცნობილი.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა  
ბენედეტო კროჩე

ისმაილიზმი შიიზმის ერთ-ერთი განშტოებაა. შიიზმი კი წარმოიშვა მათ შორის, ვინც მხარს უჭერდა პირველი თაობის მუსლიმან ბელადთაგან ერთ-ერთს — ალის, რომელიც იყო წინასწარმეტყველ მოჰამედის ბიძაშვილი და სიძე და გარდაიცვალა 661 წელს. ალიმ მუსლიმთა ბელადის ნოდება მას შემდეგ მიიღო, რაც მოკლეს მოჰამედის მესამე მემკვიდრე. მაგრამ ალისაც არ ენერა სვებედნიერი ბელადობა. მისი მომხრეები დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ ტახტის უზურპატორებს. ამ ბრძოლის განმავლობაში შიიტები რელიგიურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ და რელიგიურ-პოლიტიკური პრინციპებიც გამოიმუშავეს, რადგან ძალაუფლებისთვის ბრძოლა, თუ ვერანაირ გარეგან მატერიალურ საყრდენს ვერ პოულობს, ადრე თუ გვიან ყოველთვის იქცევა იდეოლოგიად. შიიტების იდეოლოგიის საფუძველი კი ის იყო, რომ მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლობის უფლება მხოლოდ მოჰამედის ოჯახის, კერძოდ კი იმამ ალის პირდაპირ შთამომავლებს ეკუთვნის.

VIII საუკუნის შუა წლებისთვის შიიტებმა ისეთ სიმძლავრეს მიაღწიეს, რომ დაამარცხეს კიდევ მათი მოწინააღმდეგე სუნიტები და ბაღდადში ხალიფობა იმამ ალის შთამომავლებსგან შედგენილმა აბასიდების დინასტიამ მიიღო. მაგრამ გამარჯვება ხანმოკლე გამოდგა: აბასიდებმა მალევე ზურგი აქციეს თავიანთ ძველ მომხრეებს და სუნიტთა საყრდენად იქცნენ.

ყოველგვარი იდეოლოგიური სინამდის დიდხანს შენარჩუნება ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმეა. ამიტომ შიიტთა რიგებშიც გაჩნდა განშტოებები. ერთ-ერთი მათგანი, ისმაილიზმი, აღიარებდა, რომ ისლამის იმამების სახელს იმსახურებდნენ ალის მხოლოდ ერთი შტოს, კერძოდ, მოჰამედის ქალიშვილის, ფატიმას, შთამომავლები. ისმაილიტთა წინააღმდეგ IX საუკუნეში დანარჩენმა მუსლიმანებმა შექმნეს ვერსია, რომ ამ განშტოების ერთ-ერთი ფუძემდებელი იბნ მაიმუნ ალ-კადაში ან ებრაელი ან ერეტიკოსი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო.

შიიზმის ყველა განშტოებას განსაკუთრებულად დრამატული რელიგიურობა ახასიათებს. ეს დრამატიზმი კომპრომისის უარყოფითაა გამოხატული. სწორედ შიიზმის ფუძემდებელთა ტრაგიკული ბედის წყალობით შეიძინა მათ მომხრეთა შორის განსაკუთრებული რელიგიური და, უფრო მეტიც, მისტიკური ღირებულება ხორციელმა ტანჯვამ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ისმაილიზმი, რომელმაც სახელწოდება იმამ ალის ერთ-ერთი ვაჟის, ისმაილის პატივსაცემად მიიღო. ამ სექტის წიაღში წარმოიშვა ტრადიცია — ეგრეთ ნოდებული გადაჭარბებისა (არაბულად "გუულუვ"), რაც მორწმუნეს სულიერ სამყაროში მისტიკური შედევრის იმაზე უფრო დიდ უფლებას აძ-

ლევდა, ვიდრე ამას რელიგიური მოწინების ზოგადი პრინციპები ითვალისწინებდა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რელიგიური მოძღვრების ჩამოყალიბებაში ყველაზე ქაოსური ეტაპი მისი დასაწყისია. ხშირად წარმოუდგენიათ, რომ რელიგიის ისტორია ასე მიმდინარეობს: დასაწყისში არის მკაფიოდ გამოთქმული ცალსახა მოძღვრება, რომელიც შემდგომში ვითარდება და, იმის მიხედვით,

ტის საიდუმლო ცენტრიდან კონსპირაციულად მიღებული დავალებების თანახმად, მოხეტიალე მქადაგებლები სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად დაიარებოდნენ და ბედუინებს, მოქალაქეებს, ვაჭრებსა და მოხელეებს ამბოხისკენ მოუწოდებდნენ. მათი მოწოდება ბაღდადის ხალიფების წინააღმდეგ იყო მიმართული. ასევე ფართოდ იყო გავრცელებული "მაჰდი" ანუ მხსნელის, მუსლიმანთა

ძალაუფლებას დაუპირისპირდნენ და მათი ძირითადი იარაღი პოლიტიკური ტერორი გახდა: კარგად ორგანიზებული მკვლელობები, ცალკეული ფორპოსტების დაპყრობა, ქალაქებში გადატრიალებების მოწყობა. პირდაპირი შეტევა სრულიად ამოვარდა სტრატეგიული გეგმიდან, რის წყალობითაც ნიზარიტები ლამის ორი საუკუნის განმავლობაში ახერხებდნენ უზარმაზარი ტერიტორიის კონტროლირებას ლინდუყუმის მთისწინეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ჯვაროსნები ნიზარიტებს ასასინებად მოიხსენიებდნენ.

მესიანიზმი, ხორციელი ტანჯვის კულტი, მისტიკური ჭვრეტის სიღრმე, ასკეტური მსოფლმხედველობა — აი, ის ფაქტორები, რომელთა წყალობით ისმაილიტ-ნიზარიტთა იდეოლოგიის ზოგიერთი მხარე ქრისტიანობასთან უცნაურ მსგავსებას ამჟღავნებს. სწორედ ამის გამო იგრძნო მათთან ერთგვარი სულიერი ნათესაობა XIII საუკუნის ბერმა, ივ ბრეტონელმა. თუმცა დასავლეთი თავის ისტორიულ განვითარებაში ყოველთვის ივ ბრეტონელივით მოწყალე არ ყოფილა ისმაილიტთა მიმართ...

სწორედ ჯვაროსანთა თვალსაწიერიდან დაუახლოვდნენ ნიზარიტებს ევროპელი მეცნიერები. XVIII საუკუნის ბოლოს ფრანგმა ისტორიკოსმა სილვესტრ დე სასიმი ისმაილიტთა შესახებ მრავალი ფანტასტიკური მითი გააქარწყლა, მაგრამ მისთვისაც ისლამი მხოლოდ სულიერი უმნიშვრობის გამოხატულება იყო, ამიტომაც მეცნიერი ზომავს მტად ეყრდნობოდა XIV საუკუნის ვენეციელი ვაჭრისა და მოგზაურის, მარკო პოლოს ცნობას, რომ ასასინები ყმანვილებს აცდუნებენ ჰაშიმის დახმარებით და უსიტყვო მონებად აქცევენ მათ. ეს მოდელი ბატონობდა ისტორიაში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. გამოდიოდა, რომ ევროპელი ისტორიკოსები ცდილობდნენ ურთულესი კულტურულ-რელიგიურ-პოლიტიკური მოვლენის მოქცევას ვინორ მორალიზმის ჩარჩოებში. რა თქმა უნდა, ამგვარი მიდგომა ვერავითარ ცხად სურათს ვერ იძლეოდა.

განსაკუთრებული როლი შეასრულა ამ მხრივ ავსტრიელმა ისტორიკოსმა ფონ ჰამერ-პურგშალდმა. ეს შრომისმოყვარე და ბევრივე, მაგრამ ძალიან ზედპირული ადამიანი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ მოღვაწეობდა ვენაში. ფონ ჰამერმა ვეებერთელა და გერმანული გულმოდგინებით დაწერილი ნიგნი მიუძღვნა ნიზარიტებს. მაგრამ ეს მეცნიერული კვლევა კი არა, უფრო პოლემიკური სულისკვეთებით გამსჭვალული ტრაქტატი იყო. ტექსტი შეიცავდა ყოველგვარი საიდუმლო საზოგადოებისა და დაჯგუფების კრიტიკას კონსერვატორული პოზიციიდან: ყოველგვარი კონსპირაციული ჯგუფი თავის თავში რევოლუციის საფრთხეს შეიცავს. ავტორმა წინა

პლანზე გადმოსწია ყველა ის საზოგადოება და ამაზრზენი მოვლენა თუ თვისება, რომელსაც ვინმე ოდესმე აბრალებდა ნიზარიტებს. ამის მიზანი კი ერთადერთი იყო: ავტორი ამგვარად ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ იგივე საშინელება ელის ცივილიზაციას მასონთა და იეზუიტთა მხრიდან. ეს უკანასკნელნი ფონ ჰამერს წარმოუდგებოდა ისმაილიტთა გლობალური გეგმის გაგრძელებად.

დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო იმის შესამჩნევად, თუ როდენ განსხვავდება ავსტრიელი პროფესორის ავადმყოფური იდეებისაგან XIII საუკუნის მოწესის, ივ ბრეტონელის დელიკატური და სულიერი სიმნიფით აღსავსე მიდგომა განსხვავებული კულტურისადმი. ავსტრიელის რომანტიზმით გაჟღენთილი თხზულება სასწრაფოდ ითარგმნა ფრანგულად და ინგლისურად და სულ მალე იქცა ევროპულ ისტორიკოსთა მთავარ მოდელად. ამ ნიმუშის თანახმად განიხილავდნენ საბრალო ისლამურ სექტას და წყველას წყველაზე ამატებდნენ. ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ფონ ჰამერის ნიგნი, თუმცა მის ავტორს არასოდეს დაუტოვებია ვენის საზღვრები, ყველაზე ხელმისაწვდომი სახელმძღვანელო იყო ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ ადგილებში მოგზაურთათვის და იაფი, მაგრამ პოპულარული ისტორიული რომანების ავტორებისათვის.

ასე გრძელდებოდა სანამ საქმეში ამერიკელები არ ჩაერთვნენ. ჯერ XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში დეფრემერმ დაიწყო ნიზარიტთა ისტორიის გამოკვლევა. ეს მკვლევარი უფრო დათარღილებით იყო დაინტერესებული, ვიდრე მრავალი საუკუნის წინ არსებული სექტის იდეოლოგიური კრიტიკით. ამგვარმა პედანტურმა მიდგომამ მოულოდნელი სინათლე შეიტანა ჩახვეულ ისტორიაში. ამის შემდეგ კი თვით ნიზარიტთა ტექსტების ინგლისური თარგმანებიც გამოჩნდა, სოლსბერის მიერ უაღრესი სიზუსტით შესრულებული. თანდათანობით განათდა კაცობრიობის ისტორიის ეს ბნელი მონაკვეთი, მეცნიერულ სინათლესთან ერთად კი ეთიკური რეაბილიტაციის პერსპექტივაც გამოჩნდა.

თავის დროზე ისმაილიტთა ტერორიზმი თითქმის ერთსულეოვნად წინ აღუდგა მთელი ისლამი. რატომ ვერ ხერხდება ასეთი რამ დღეს? როგორც ეტყობა, ისლამური სამყარო აქტიურ ვესტერნიზაციას, ანუ "გადასავლურებას" განიცდის, რის გამოც მას ალარა აქვს რადიკალთა თვალში საკმარისი ავტორიტეტი. დღეს თვით "მთის ბერის" მემკვიდრე ისმაილიტთა სულიერი ხელმძღვანელობაც საკმაოდ ცივილიზებულად გამოიყურება, ხოლო ტერორისტთა აღზრდა მარკო პოლოს მიერ აღწერილი მეთოდებით მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც საყოველთაო ხმარებისთვის აკრძალულია კომპიუტერები, სატელევიზიო ანტენები და მობილური ტელეფონები.



ისმაილიტთა დღევანდელი ლიდერი, ალ-ხან IV ხანაფური ორდენის მიღაბისას.

თუ რა იდეოლოგიურ პოზიციასზე დგას მკვლევარი, ამ განვითარებას ან "გამდიდრებას" უწოდებენ ან "შერყვნას". სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა: სანყის ეტაპებზე ყოველთვის არსებობს იდეოლოგიური ქაოსი, მაგრამ მომხრეთა რაოდენობის გაზრდა აუცილებლად იწვევს ერთიანი იდეოლოგიური კანონის შემუშავებას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ჩამოყალიბებული მოძღვრების ხელახალი გართულება.

ამიტომ ძნელია ისმაილიზმის წარმოშობის საწყისი მომენტის დაჭერა, მისი მეცნიერული დაფიქსირება. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური ტანჯვის, მოთმინებისა და მორჩილების მომენტთან ერთად მის იდეოლოგიას კიდევ ერთი საწყისი ჰქონდა: შეთქმულთა ამბოხისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური თვისებები. იდუმალება, ჩაკეტილობა, ამის საწინააღმდეგოდ კი ქადაგებისა და დარწმუნების განსაკუთრებული ხერხები ორგანულად იყო შერწყმული. სექ-

მესიის მოსვლის მოლოდინი. ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება ძალიან ამსგავსებდა ისმაილიტებს ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ ათწლეულთა იუდეველ ზილოტებს, რომელთა შორის მესიის მოლოდინი ტრაგიკულად გაამძაფრეს რომაელმა დამპყრობლებმა.

მაგრამ ასეთი სულიერი დაძაბულობის დიდხანს შენარჩუნებაც მეტად ძნელია. ამიტომ XI საუკუნის დამდეგისათვის სუნიტების მშვიდმა და გარეგნული დისციპლინის დაცვაზე ორიენტირებულმა იდეოლოგიამ თანდათანობით მოიცვა ისლამური სამყარო. ისმაილიტებს ნელ-ნელა გამოეცალა ხელიდან სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობის გარანტიები. მაგრამ ამან მხოლოდ კონსპირაციის გაღრმავება და შიდა განანესის გამკაცრება გამოიწვია. ისმაილიზმის ახალ ტალღას სახელად ნიზარიზმი ეწოდა ერთ-ერთი ფაქტორი ბელადის, ნიზარ ალ-მანსურის სახელის მიხედვით. ნიზარიტები სელჯუკების

იტალია  
კალვინო



# უჩინარი ქალაქები



ლელა პარიძის  
თარგმანი იტალიურიდან

გაბრძოლა. დასაწყისი №. №1

## II თავი

■ სხვა ელჩები მფრთხილებენ, რომ შიმშილი, გამომძალველობა, შეთქმულებები მომრავლდა, ან ახლადმოჩენილი ფირუზის საბადოების შესახებ მათხრობენ, კვერნის ბუნვის ხელსაყრელ ფასებს მატყობინებენ, მაცნობებენ შემოთავაზებებს ხელით ნაჭები ხანჯლების შემოტანის თაობაზე. და შენ? - ჰკითხა პოლოს დიდმა ხანმა, - ასევე შორეული ქვეყნებიდან ბრუნდები და იმის მეტი არაფერი გაქვს სათქმელი, თუ რა აზრები მოსდის სალამოს თავისი სახლის ზღურბლზე სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად ჩამომჯდარ მავანს. მამ, რატომღა მოგზაურობ ამდენს?

■ სალამო, შენი სასახლის საპარადო კიბეზე ვსხედვართ, მსუბუქი ნიავი ქრის, - უპასუხა მარკო პოლომ, - რომელი ქვეყანაც უნდა გასტუმრონ ჩემმა სიტყვებმა, იმ ქვეყანას მხოლოდ შენი გადასახედიდან დაინახავ, მაშინაც კი, თუ სამეფო სასახლეს ხიმინჯებიანი სოფელი შეცვლის და ნიავეი ტალახიანი ლაგუნას სუნს მოიტანს.

■ ჩემი თვალი იმ კაცის თვალია, რომელიც ფიქრში ჩაფლულა და მედიტირებს, ვალიარებ. მაგრამ შენი? არქიპელაგებს, ტუნდრებს, მათაა გრეხილებს გადალახავ. იგივე არ იქნებოდა, აქედან ფეხიც რომ არ მოგეცვალა.

ვენეციელმა იცოდა, რომ თუ ყუბლაი უბრაზდებოდა, მხოლოდ მისი რომელიღაცა მსჯელობის ძაფის უკეთ მიყოლას ცდილობდა; და რომ მისი პასუხები და საინააღმდეგო აზრები თავიანთ ადგილს პოულობდნენ იმ საუბარში, რომელიც დიდებული ხანის თავში დამოუკიდებლად, საკუთარ ხარჯზე ვითარდებოდა. ანუ მნიშვნელობა არ ჰქონდა, შეკითხვები და პასუხები მათ შორის ხმამაღლა იქნებოდა გაცხადებული თუ თითოეული მათზე ჩუმად ტვინის ჭყლეტას გააგრძელებდა. მართლაც ჩუმად ისხდნენ, ჰამაკში ქანაობდნენ თვალმოჭუტულები და ბალიშებს მი-

ყრდნობილები, თან ქარვის გრძელ ჩიბუხებს ექაჩებოდნენ.

მარკო პოლო თავის წარმოდგენაში პასუხობდა (ან ყუბლაი წარმოდგენდა მის პასუხს), რომ რაც უფრო იკარგებოდა შორეული ქალაქების უცნობ უბნებში, უფრო მეტს იგებდა იმ სხვა ქალაქებზე, რომლებიც აქამდე მოსასვლელად გამოიარა, თავიდან გადიოდა თავისი მოგზაურობების ეტაპებს, სწავლობდა საიდანაც გამოვიდა, იმ პორტის და თავისი ახალგაზრდობის ჩვეული ადგილების, სახლის მიდამოების და ვენეციის პატარა მოედნის, სადაც ბავშვობაში დარბოდა, შეცნობას.

ამ დროს ყუბლაი ხანი აწყვეტინებდა მას საუბარს ან წარმოდგენდა, რომ გააწყვეტინა საუბარი, და ეკითხებოდა, ვთქვით, ამას: - წინ სულ უკანმიტრიალებული თავით მიდიხარ?

ან: - რასაც ხედავ, შენს ზურგს უკანაა?

ან კიდევ უკეთესად: - შენი მოგზაურობა მხოლოდ წარსულში ხდება?

ამას ყველაფერს იმიტომ ეკითხებოდა, რომ მარკო პოლოს შეძლებოდა, აეხსნა ან წარმოედგინა, რომ ხსნის ან სხვის მიერ ყოფილიყო წარმოდგენილი, რომ იგი ხსნის ან, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავისთვის ახერხებს იმის ახსნას, რომ რასაც ეძებდა, ყოველთვის მის წინ იყო, და წარსულსაც როცა ეხებოდა საქმე, ეს ის წარსული იყო, რომელიც ნელ-ნელა იცვლებოდა, რაც უფრო წინ მიიწევდა თავის მოგზაურობაში, რადგან მოგზაურის წარსული შესრულებული მარშრუტის მიხედვით იცვლება, არა უახლესი წარსული, რომელსაც ყოველი გასული დღე ახალ დღეს ამატებს, არამედ უფრო შორეული წარსული. ყოველ ახალ ქალაქში ჩასული მოგზაური თავის წარსულს პოულობს, რომელიც აღარც კი ახსოვდა, რომ ჰქონდა: უცხოობა იმისა, რაც აღარა ხარ ან რაც აღარა გაქვს, იმ ადგილებში ჩაგსაფრებია, რომლებიც უცხოა და რომლებიც არასოდეს გქონია.

მარკო შედის რომელიღაც ქალაქში, ხედავს, როგორ ცხოვრობს მოედანზე ვიღაც მთელ ცხოვრებას ან ერთ წამს, რაც შეიძლება მისი ყოფილიყო; იმ კაცის ადგილას შეიძლება თავად მდგარიყო ახლა,

დროში რომ გაჩერებულიყო დიდი ხნის წინ, ან დიდი ხნის წინ ერთ გზაჯვარედინზე ერთი გზის მაგივრად მის საინააღმდეგოს დასდგომოდა, ხანგრძლივი ხეტილის შემდეგ მოსულიყო და იმ კაცის ადგილას იმ მოედანზე აღმოჩენილიყო. ახლა იმ თავისი ნამდვილი თუ ჰიპოთეტური წარსულიდან იგი გამოირიცხულია; ვერ გაჩერდება; უნდა გააგრძელოს გზა მომდევნო ქალაქამდე, სადაც მისი სხვა წარსული უცდის, ან რაღაც, რაც მისი შესაძლო მომავალი იქნებოდა და ახლა ვიღაც სხვისი ანმყოფა. განუხორციელებელი მომავლები მხოლოდ ტოტებია წარსულისა: გამხმარი ტოტები.

■ იმიტომ მოგზაურობ, რომ შენი წარსული გაიცოცხლო? - ამჯერად ასეთი იყო ხანის შეკითხვა, რომლის ჩამოყალიბება ასეც შეიძლებოდა: - შენი მომავლის ხელახლა საპოვნელად მოგზაურობ?

მარკომ კი მიუთხო:

■ სხვაგან - ესაა სარკის შეტრიალება. მოგზაური შეიცნობს იმ ცოტას, რასაც ფლობს, აღმოაჩენს რა იმ ბევრს, რაც არასოდეს ჰქონია და არც ექნება.

## ქალაქები და მოგონება. 5.

მაურილიაში მოგზაურს ქალაქის მონახულებას სთავაზობენ და ამჯერად დროს იმ ძველი ილუსტრირებული ღია ბარათების დათვალიერებას, რომლებიც გვაჩვენებენ, როგორი იყო ეს ქალაქი ერთ დროს: ზუსტად იგივე მოედანი, ოღონდ ავტობუსების სადგურის ადგილას მამალი, მუსიკის ფარდული ნაცვლად გზახილისა, ასაფეთქებლების ქარხნის მაგივრად ორი ქალიშვილი თეთრი მზის საჩრდილობელი ქოლგით. მოსახლეობას რომ არ დაწყვიტოს გული, აუცილებელია, მოგზაურმა ღია ბარათების ქალაქი შეაქოს და ამჯობინოს დღევანდელ ქალაქს, მაგრამ გულისტკივილი ცვლილებების გამო ზუსტი წესების დაცვით უნდა გამოთქვას: უნდა აღიაროს,

რომ მეტროპოლად გადაქცეული მაურილიას დიდებული და კეთილდღეობა, მას თუ ძველ პროვინციულ მაურილიას შეადარებთ, ვერ იქნება საკადრისი სამაგიერო ერთგვარი დაკარგული მომხიბვლელობისა, რომლით დატკობა მაინც შესაძლებელია ამჯერად მხოლოდ ძველ ღია ბარათებზე, მაშინ როცა ადრე, პროვინციული მაურილიას დროს, მომხიბვლელი არც არაფერი იყო გარშემო, და კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა დღეს, მაურილია ისეთი რომ დარჩენილიყო, და რომ მეტროპოლს, რაც უნდა იყოს, კიდევ ერთი დამატებითი მიმზიდველი სატყუარა აქვს: იქიდან გამომდინარე, რადაც გადაიქცა, ნოსტალგიით შეიძლება იმაზე ფიქრი, რაც იყო.

მოერიდეთ მათთვის იმის თქმას, რომ ხანდახან განსხვავებული ქალაქები ერთმანეთს ენაცვლებიან ერთსა და იმავე ადგილას და ერთი და იგივე სახელი ჰქვით, იბადებიან და კვდებიან ისე, რომ ერთმანეთს ვერ ეცნობიან და ერთმანეთთან არავითარი საერთო არა აქვთ. ხანდახან მცხოვრებთა სახელებიც იგივე რჩება, ხმის ტემბრიც, სახის ნაკვეთებიც კი; მაგრამ ღმერთები, რომლებიც ამ სახელებით და ამ ადგილების ზემოთ ცხოვრობენ, ისე წავიდნენ, კონტრეტულ არ დაუძრავთ, მათ ადგილას კი უცხო ღმერთებმა მოიკალათეს. ფუჭია იმის კითხვით თავის ატკივება, სჯობიან თუ ჩამოუვარდებიან ისინი ძველებს, რამდენადაც მათ შორის არავითარი კავშირი არაა, ისევე როგორც ძველი ღია ბარათები იმ მაურილიას კი არ წარმოადგენენ, რომელიც ერთ დროს არსებობდა, არამედ სხვა ქალაქს, რომელსაც შემთხვევით ამ ქალაქივით მაურილია ერქვა.

## ქალაქები და სურვილი. 4.

რუხი ქვის მეტროპოლის - ფედორას - ცენტრში ლითონის სასახლე დგას ყოველ ოთახში მინის სფეროთი. თითოეულ სფეროში თითო ცისფერი ქალაქი ჩანს, რაც სხვა ფედორას მაკეტიან. ეს ის ფორმებია, რომელთა მიღებაც შეეძლო ქალაქს, ისე-

თი რომ არ გამხდარიყო, როგორცაა ის, გარკვეული მიზეზების გამო, იქცა და როგორც ჩვენ მას დღეს ვხედავთ. ყოველ ეპოქაში არსებობდა ვიღაც, ვინც, ფედორას ანმყოს რომ ხედავდა, წარმოიდგენდა მისი იდეალურ ქალაქად გადაქცევის გზას, მაგრამ სანამ თავის მოდელს მინიატურაში აგებდა, ფედორა უკვე აღარ იყო წელანდელი, და ის, რაც გუშინდლამდე მისი შესაძლო მომავალი იყო, ახლა უკვე სათამაშოდ გადაქცეულიყო მინის სფეროში.

ფედორას ახლა სფეროების სასახლეში თავისი მუზეუმი აქვს, რომლის მონახულებისასაც ყოველი მცხოვრები თავისი სურვილების შესაფერის ქალაქს ირჩევს, ტკბება იმით და წარმოიდგენს, რომ ირეკლება მედუზების დასაჭერ ხაფანგში, რომელსაც არხის წყლები უნდა შეეკრიბა (არხი რომ არ დამშრალიყო), წარმოიდგენს, რომ ბალდახინის სიმაღლეზეა და სპილოებისთვის (ახლა რომ ქალაქიდან განდევნეს) გამოყოფილ გამზირზე მიიწინევა, წარმოიდგენს, რომ ჩაცურდება ლოკოკინას სახლივით ხვეული მინარეთის გრანდიოზული სპირალზე (რომელმაც საძირკვლად ვერაფერი მონახა, რომ დარდნობოდა).

შენი იმპერიის რუკაზე, დიდებულ ხანო, ადგილი უნდა მოიძებნოს როგორც დიდი, ქვისგან ნაკვეთი ფედორასთვის, ასევე პატარა-პატარა ფედორებისთვის მინის სფეროებში. არა იმიტომ, რომ ყველა ერთნაირად რეალურია, არამედ იმიტომ, რომ ყველა მხოლოდ შესაძლოა. ერთი შეიცავს იმას, რაც საჭიროდ ითვლება, თუმცა ჯერ არაა ასეთი; სხვები - იმას, რაც შესაძლებლად მიიჩნევა და ერთი წუთის შემდეგ კარგავს ამ შესაძლებლობას.

### ქალაქები და ნიშნები. 3.

თუ კაცი მოგზაურობს და ჯერ არ იცნობს ქალაქს, გზად რომ ელოდება, ფიქრობს, როგორი იქნება მისი სამეფო სასახლე, ყაზარმა, ნისქელი, თეატრი, ბაზარი. იმპერიის ყოველ ქალაქში ყოველი შენობა განსხვავებულია და განსხვავებული ნესრიგითაა განლაგებული: მაგრამ როგორც კი უცხოელი უცნობ ქალაქში ჩამოდის და მზერას სტყორცნის პაგოდების, მანსარდების ფანჯრებისა და სათივეების წვერებს, თან არხების, ბოსტნების, ნაგავსაყრელების ზიგზაგებს მიუყვება, მაშინვე გაარჩევს, რომელია უფლისწულების სასახლეები, რომელია დიდი ქურუმების ტაძრები, სასტუმრო, ციხე, ჭუჭყიანი კვარტალი.

ასე - იტყვის ვიღაცა, - მტკიცდება ჰიპოთეზა, რომ ყოველი ადამიანი ატარებს გონებაში ქალაქს, რომელიც მხოლოდ განსხვავებებითაა ნაგები, უსიმბოლოებო და უფორმო ქალაქს, განსაკუთრებული ქალაქები კი ავსებენ მას.

ასე როდია ძოეში. ამ ქალაქის ყოველ კუთხეში შეიძლება ხანგამოშვებით ძილი, ხელსაწყოების დამზადება, საჭმლის გაკეთება, ოქროს მონეტების დახვევა, გამიშვება, მართვა, ვაჭრობა, ორაკულისთვის კითხვის დასმა. პირამიდის ფორმის ნებისმიერი სახურავი შეიძლება ლეპრიანების ლაზარეთსაც ხურავდეს და ხარჭების თერმულ აბანოებსაც. მოგზაური დადის, დადის და ეჭვებით ივსება: რადგან ვერ არჩევს ქალაქის ადგილებს, ისინი კი, რომლების ერთმანეთისაგან გარჩევას ახერხებს, გონებაში ერევიან. აქედან შემდეგი შეიძლება დავასკვნათ: თუ არსებობა ყველა თავის გამოვლინებაში სულ თავის თავს ჰგავს, ქალაქი ძოე დაუნანვერებელი არსებობის ადგილი ყოფილა. მაგრამ რატომღა ქალაქი? რა ხაზი ყოფს შიდას გარესაგან, ბორბლების გრუხუნს მგლების ყმულისგან?


### მსუბუქი ქალაქები. 2.

ახლა ქალაქ ძენობიაზე ვიტყვი, რომელსაც ესა აქვს საოცარი: მშრალ ადგილას კი დგას, მაგრამ მაინც უმაღლეს ხიმინჯებზეა აღმართული, აქ გალერეებიანი და აივნებიანი ბამბუკის და თუთიის სახლები სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებულია ერთმანეთზე აჩონჩხილი ორიფეხებზე, მათ კი მისადგამი კიბეები და დაკიდებული ტროტუარები აკავშირებენ, ამას ყველაფერს აგვირგვინებს გადმოსახედი კოშკები, კონუსის ფორმის სახურავები, წყლის საცავების კასრები და ფეიერვერკში მბრუნავი რგოლები ქარის მიმართულების მაჩვენებლებით, საიდანაც გორგოლაჭები, ძუებსა და ამწეებს გამოუყვიათ თავები.

რა მოთხოვნილება ან რომელი მცნება თუ სურვილი ამოძრავებდა ძენობიას დამარსებლებს, ასე რომ ააშენეს თავიანთი ქალაქი, არავის ახსოვს, ამიტომ არ შეიძლება ითქვას, დაკმაყოფილებულ იქნა თუ არა ეს სურვილი დღევანდელი ქალაქით, რომელიც ჩვენს თვალწინ გადაშლილა, და რომელიც ძველ - და, ალბათ, ახლა უკვე გაუგებარ - მონახაზე გაიზარდა მომდევნო დაშრეებებით. ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ძენობიას

### ქალაქები და ალებმიცემობა. 1.

ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარის მიმართულებით 80 მილის შემდეგ ქალაქ ეუფემიას მიადგებით, სადაც შვიდი ეროვნების ვაჭრები იყრიან თავს ყოველ ნაბუნობასა და დღე-ღამის თანაბრობისას. იქ ჯანჯაფილითა და ბამბით სავსე გემი რომ ჩამოდგება, იგივე გემი უკვე დამარილებული თხილითა და ყაყაჩოს თესლით დატვირთული ტრიუმით აუშვებს აფრებს, ქარავანი კი, რომელმაც ახლახან გადმოტვირთა მუსკატის კაკლისა და ქიშმიშის ტომრები, უკვე გასამგზავრებლად იკრავს გუდანაბადს ოქროსფერი მარმარის დასტებით. მაგრამ აქ მომსვლელნი მარტო იმ საქონლის გასაცვლელად კი არ გამოცურავენ მდინარეებს და გადმოლახვენ უდაბნოებს, რომელთაც ყოველთვის და ყველა ბაზარში იპოვნი დიდებული ხანის იმპერიის შიგნით თუ გარეთ, შენს ფეხებთან ერთსა და იმავე ყვითელ ჭილოებზე რომაა გაფენილი, ერთი და იმავე ბუზებისგან დამცავი ფარდების ჩრდილებზე, ერთი და იმავე თვალთმაქცური ფასდაკლებით რომ გთავაზობენ. არა მხოლოდ სანახავად და საყიდლად ჩამოდიან ეუფემიაში, არამედ



მცხოვრებს რომ სთხოვენ, აღწეროს, თუ როგორ წარმოუდგენია ბედნიერი ცხოვრება, მის მიერ წარმოდგენილი ქალაქი ყოველთვის ძენობიას მსგავსი აღმოჩნდება ხოლმე თავისი ხიმინჯებით და დაკიდებული კიბეებით, იქნებ სულაც მთლიანად განსხვავებული ძენობია, მაგრამ ყოველთვის პირველი მოდელის ელემენტების კომბინირებით მიღებული, სადაც დროში ბი და ზონების ფრიალებენ.

ამის შემდეგ აზრი აღარა აქვს იმის დადგენას, ბედნიერ ქალაქებს მიეკუთვნება ზენობია თუ უბედურებს. ქალაქები ამ ორ ტიპად კი არა, სხვა ორ ტიპად უნდა იყოფოდეს: ერთნი, წლებისა და მუტაციების შემდეგაც რომ აგრძელებენ სურვილებისთვის ფორმის მიცემას, და მეორენი, სადაც სურვილები ან ახერხებენ ქალაქის ნამულას, ან ქალაქის მიერ იშლებიან.

იმიტომაც, რომ ღამე მთელი ბაზრის გარშემო კოცონების ახლოს ტომრებზე თუ კასრებზე ჩამომსხდარნი თუ ხალიჩების გროვებზე მიყრილნი, ყოველ სიტყვაზე, ვიღაც რომ იტყვის - ვთქვათ, "მგელს", "დას", "დამალულ გაძს", "ბრძოლას", "ქეცს", "საყვარლებს" - სხვები თავთავით ამბებს ყვებიან მგლებზე, დებზე, განძებზე, მუნებზე, საყვერლებზე, ბრძოლებზე. და შენ იცი, რომ დიდ გზაზე, ნინ რომ გელოდება, როცა აქლემის თუ იალქნიანი გემის რწევა-რწევაში ძილს უნდა გაუმკვავდევ, დაიწყებ საკუთარ მოგონებებზე სათითაოდ თავიდან ფიქრს, ეუფემიადან დაბრუნებისას შენი მგელი სხვანაირი გამხდარა, შენი და - სხვაგვარი და, შენი ბრძოლა - სხვა ბრძოლები; ამ ქალაქში ყოველ ბუნიაობას და დღე-ღამის თანაბრობისას მოგონებებს ცვლიან.

... ახალი ჩამოსული და აღმოსავლეთის ენების სრულებით უცოდინარი მარკო პოლო სხვანაირად ვერ გადმოსცემდა სათქმელს, თუ არა იმ ნივთების დახმარებით, რომლებსაც თავისი ჩემოდნებიდან ამოღებდა ხოლმე: ტამბურები, დამარილებული თევზები, აფრიკული ტახის კბილების ყელსაბამი, ახასიათებდა მათ შესტებით, სალტოებით, სიხარულისა თუ შიშის ამოძახილებით, ან ტურის კივილის და კიოტას ჭყვილის მიბაძვით.

იმპერატორისთვის ყოველთვის ვერ იყო ნათელი, რა აკავშირებდა მოთხრობის ერთ ელემენტს მეორესთან; საგნებს სხვადასხვა რამის თქმა შეეძლოთ: ისრებით სავსე საისრე ხან ომის მოახლოებას ნიშნავდა, ხან მონადირეების სიმდიდრეს ან კიდევ მეთარაღის ჯიხურს; ქვიშის საათს შეიძლება მიენიშნებინა დროზე, რომელიც გადის, ან რომელიც უკვე გავიდა, ან ქვიშაზე, ან სულაც იმ სახელსნოზე, სადაც ქვიშის საათებს აკეთებენ.

მაგრამ ყუბლასთვის ძვირფასი ხდებოდა თავისი უენო ინფორმატორის ყოველი ფაქტი თუ ცნობა იმ სივრცის გამო, რომელიც ამ ფაქტებისა თუ საგნების გარშემო რჩებოდა, სიტყვებით შეუვსებელი სიცარიელის გამო. მარკო პოლოს მიერ მონახულებული ქალაქების აღწერას ეს ღირსება ჰქონდა: შეიძლებოდა მათში ფიქრით ხეტილიყო, დაკარგვა, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად შეჩერება ან იქიდან კისრისტებით გაკურცხლვა.

გავიდა დრო და მარკოს მონათხრობში სიტყვები ჩაენაცვლენ საგნებსა და შესტებს: თავიდან შეძახილები, ცალკეული სიტყვები, მშრალი ზმნები მერე და მერე რთულ წინადადებებად, დატოვილ და ჭრელ მსჯელობებად, მეტაფორებად და ტროპებად იქცა. უცხოელს ესწავლა იმპერატორის ენა ან იმპერატორს - უცხოელის ენის გაგება.

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის კომუნიკაცია ნაკლებად ბედნიერი გახდა, ვიდრე ერთ დროს იყო: ცხადია, სიტყვები საგნებზე და შესტებზე უფრო გამოსადგინი იყვნენ ყოველი პროვინციისა და ქალაქის უმნიშვნელოვანესი რამეების ჩამოსათვლელად: ძეგლების, ბაზრების, ტრადიციების, ფაუნისა და ფლორისა; და მაინც როცა მარკო იმაზე საუბარს იწყებდა, თუ როგორი იყო ყოველდღიური ცხოვრება იმ ადგილებში, ყოველდღე, ყოველ საღამოს, სიტყვები ელეოდა, და ნელ-ნელა ისევ შესტებს, მიმიკებს, მზერებს მიმართავდა.

ყოველი ქალაქისთვის ზუსტი სიტყვებით გადმოცემულ ძირითად ცნობებს ასე მოაყოლებდა ხოლმე მუნჯ კომენტარს, ხელებს ზემოთ წევდა, ხელისგულებს შემოატრიალებდა, ხელის ზურგებსაც და მერე ხელის გვერდებს პირდაპირ ან ირიბად, ციებცხელებიანივით ან ნელა ამოძრავებდა. მათ შორის დამყარდა დიალოგის ახალი სახეობა: ხანის თეთრი და ბეჭდებით დახუნძლული ხელები თავშეკავებული მოძრაობებით პასუხობდნენ ვაჭრის მოქნილ და მოუნესრიგებელ შესტებს. მათ შორის გაგება რომ გაიზარდა, ხელებმა სტაბილური შესტები დაიდგინეს, თითოეული სულის რალაც განწყობილებას შეესაბამებოდა და ამ განწყობილებებივით ენაცვლებოდა ერთმანეთს ან მეორედებოდა. და თუ საგანთა ლექსიკა საქონლის ნიმუშებით განახლებებოდა, მუნჯური კომენტარების რეპერტუარი უფრო ჩაკეტვისკენ და დაფიქსირებისკენ მიდიოდა. ორივეში მცირდებოდა მათი გამეორების სიამოვნება; საუბრისას უფრო მეტად უხმოდა და გაუნძრევლად იხსდნენ.

გაბრძობა პიმიდა ნოხარში

# “ვოლვოს” ამბიცოური ბებები

მერაბ ლორთქიფანიძე

შვედური საავტომობილო კომპანია “ვოლვო”, რომელიც დიდი ხანია, “ფორდის” ევროპული შტოს მფლობელობაში იმყოფება, თავისი არსებობის ისტორიაში მოღვაწეობის ყველაზე აქტიურ ფაზას იწყებს. “ვოლვო ქარზ კორპორეშნის” პრეზიდენტისა და მთავარი აღმასრულებლის, ფრედრიკ არპის თქმით, კომპანია უახლოეს სამ წელიწადში მყიდველისთვის შეიძლება ახალი მოდელის შეთავაზებას გეგმავს. უფრო მეტიც, მისი მთავარი მიზანი წლიურად 600 ათასი ავტომობილის გაყიდვაა.

არპის თქმით, მიზნის მისაღწევად აუცილებელია “პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სამოდელო გამოსავლობა და მსოფლიოს ახალ-ახალ ბაზრებზე დამკვიდრება”. დასახული მიზანი - წლიურად 600 ათასი ავტომობილის გაყიდვა იმის გარანტია იქნება, რომ კომპანია რენტაბელური გახდება და შემდგომ გაფართოებასაც შეძლებს.

იმ შეიძლება, რომლებსაც არპი შვედური კომპანიის მომხმარებლებს პირდაპირ, პირველი კუპე/კაბრიოლეტი C70, რომლის დებიუტიც წლის დასაწყისში, დეტროიტის ავტოსალონზე შედგა. მეორე სიახლე კი არის “ვოლვოს” ფლაგმანი, განახლებული სედანი S80, რომელიც კომპანია პოტენციურ მყიდველს უჩვენებს. მოგვიანებით კი, პარიზის ავტოსალონზე, მოსალოდნელია “გოლფის” კლასის ჰენკე C30-ის ჩვენება.

ახალი S80 წინამორბედის ევოლუციური ვარიანტია. დიდი სედანი გარეგნულად ძლიერ ჰგავს პირველი თაობის S80-ს, რომელიც კომპანიის მთავარ დიზაინერ პიტერ ჰორბურის შემოქმედების ნაყოფია. წინამორბედთან მსგავსების მიუხედავად, ახალი S80 უფრო მომრგვალებული ფორმითაც გამოირჩევა. ამიტომ, ამერიიდან ის აღარავის აერევა უფ-



რო დაბალი კლასის S60-ში. სხვათა შორის, ამ მოდელის წარმოებას “ვოლვო” ალბათ მალე შეაჩერებს. ყოველ შემთხვევაში, სანამ მისი სანარმოო ციკლი დასრულდებოდეს, მწარმოებელი ამ მოდელის განახლებას არ აპირებს.

S80-ის სიგრძე არ შეცვლილა. სამაგიეროდ, გაგანერდა ბორბლების კვალი და გაიზარდა ბორბლების შორის ბაზა. შედეგად, უფრო დიდი და კომფორტული გახდა ავტომობილის ინტერიერი. გარდა ამისა, ეს არის “ვოლვოს” ისტორიაში პირველი სედანი, რომელიც ოპციის სახით მიიღებს V8 ძრავს.

არპი იმედოვნებს, რომ ახალი S80-ის შემთხვევით, მისი კომპანია დიდი რაოდენობით ახალ მყიდველს მიიზიდავს: “ყოველწლიურად 50 000 ცალი S80-ის გაყიდვას ვიმედოვნებთ. ამასთან, მყიდველთა 70 პროცენტი პირველად მიუჯდება “ვოლვოს” ავტომობილის საჭეს”.

აღსანიშნავია, რომ ახალი S80 იმავე პლატფორმაზეა ბაზირებული, რომელზეც “ფორდის” ორი ახალი მინივენი - “ფორდ S-მაქს სპორტი” და დიდი ზომის “ფორდ გალაქსი”. სხვათა შორის, ეს პლატფორმა “ფორდ ფოკუსის” ევროპული ვარიანტის პლატფორმის

დაგრძელებულ ვარიანტს წარმოადგენს.

ახალი ავტომობილის საბაზო აგრეგატი 3.2-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ძრავი, რომელსაც ცილინდრები ერთ რიგში აქვს განლაგებული და რომლის სიმძლავრეც 238 ცხენის ძალას აღწევს. ამასთან, მყიდველს შეუძლია შეუკვეთოს დიზელის ორი და ბენზინის ამდენივე ძრავი. ბენზინის ძრავებიდან ერთია ხუთცილინდრიანი, მეორე კი სრულიად ახალი V8, რომლის მუშა მოცულობა 4.4 ლიტრია, სიმძლავრე კი - 315 ცხენის ძალა. აღსანიშნავია, რომ “ვოლვო” ეს აგრეგატი პირველად უგზობის XC90-ზე გამოიყენა.

V8 აგრეგატი ალტურვილ S80-ს ყველა ბორბალი ნაყვანი ექნება. გარდა ამისა, ასეთი სედანები ნახევრად აქტიური დაკიდების სისტემითაც აღიჭურვება. იმ სისტემებიდან, რომლებითაც S80 აღიჭურვება, ყველაზე გამორჩეულია ადაპტირებადი კრუიზ-კონტროლი და შეჯახების გამაფრთხილებელი სისტემა.

ახალი სედანისთვის გასაღების მთავარი ბაზრებია ჩრდილოეთ ამერიკა და დასავლეთ ევროპა (აშშ, გერმანია, ბრიტანეთი, შვედეთი). ჯერჯერობით უცნობია მისი ფასი. ის გაყიდვების დაწყების წინ (ივნისში) გამოცხადდება. თუმცა, კომპანია ახლავს ცხადებს, რომ ახალი წინამორბედის ფასებს შეინარჩუნებს. კერძოდ, მისი საბაზო ლირებულება იქნება 37 585 დოლარი.

# “მერსედის” განახლებული E-კლასი

ნიუ იორკის საავტომობილო მოუს დამთვალელებმა პირველგზა იხილეს “მერსედეს-ბენცის” განახლებული E-კლასის სედანი და უნივერსალი. გერმანულმა კომპანიამ თავის პოპულარულ ავტომობილს მსუბუქი ფეისლიფტინგი ჩაუტარა, რისი შედეგობითაც, მის პოპულარობას ორ-სამ წელიწადს კიდევ შეინარჩუნებს ახლანდელ დონეზე, 2009 წელს კი ამ პოპულარულ ავტომობილს განახლების დრო დაუდგება.

ფეისლიფტინგის შედეგად, E-კლასს შეეცვალა წინა და უკანა ბამპერების, რადიატორისა და გვერდითი შუბების ფორმები. განახლებულ ავტომობილს უკანა სვლის მამუქები შუქ-დიოდებისგან აქვს დამზადებული. გარდა ამისა, მყიდველს შესაძლებლობა ექნება, შეუკვეთოს მთავარი მამუქების ადაპტირებადი სისტემა.

ინტერიერშიც მოდერნიზაცია მეტწილად კოსმეტიკურ ხასიათს ატარებს. აქ გამოყენებულია ახალი მასალები, შეცვლილია ცენტრალური კონსოლის ფორმა და საჭის რგოლი, რომელსაც ოთხი საყრდენი და მასზე განლაგებული, ოვალური ფორმის ლილაკები აქვს.

შეცვლილია საჭის მექანიზმიც, რომელიც უფრო ზუსტი გახდა. მცირე ცვლილება განიცადა დაკიდების სისტემამ. ყველაფერი კი იმისათვის გაკეთდა, რომ მძღოლს საქმე გაუადვილდეს. ეს კი, პირველ რიგში, ავტომობილის პასიური უსაფრთხოების გაუმჯობესებას ემსახურება.

უსაფრთხოებას ემსახურება სისტემა “პრესიფ”, როგორც უკვე დიდი ხანია, გამოიყენება S-კლასის “მერსედესებში”. ამ სისტემის თავისებურება ისაა, რომ ის უსაფრთხოების ღვედებსა და ბალიშებს მამინვე ამოქმედებს, როცა სენსორების მეშვეობით დგინდება, რომ ავარია გარდაუვალია.

ავტომობილისთვის განკუთვნილია ათი სხვადასხვა ძრავი, რომელთაგან ექვსს მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია ჩაუტარდა. ამ ათიდან ოთხი დიზელისაა, ექვსი კი - ბენზინისა. დიზელის აგრეგატებიდან ყველაზე მონინავეა “E

320 ბლიუტეკი”, რომელსაც მწარმოებელი მსოფლიოში ყველაზე სუფთა დიზელის ძრავს უწოდებს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, “ბლიუტეკი” ბენზინზე მომუშავე ძრავებთან შედარებით, 20-40 პროცენტით ნაკლებ საწვავს მოიხმარს.

ბენზინის ძრავებს შორის ყველაზე თანამედროვეა 5.5-ლიტრიანი V8, რომლის სიმძლავრეც 388 ცხენის ძალას აღწევს. აღსანიშნავია, რომ ადრე ეს აგრეგატი მხოლოდ S-კლასის “მერსედესებზე” გამოიყენებოდა. მოგვიანებით კი მას საფუძვლიან მოდიფიცირებას ჩაუტარებს “მე-



რსედესის” პარტნიორი კომპანია AMG, რომელიც თავისი მარკით დაამზადებს 514-ძალიანი ძრავით აღჭურვილ მოდელ E 63 AMG-ს.

უნდა ითქვას, რომ ამ თაობის E-კლასის “მერსედესებს” გარკვეული პრობლემები ჰქონდათ ელექტრონულ სისტემაში. კომპანია ირწმუნება, რომ ამ პრობლემების მიზეზები ნაპოვნი და აღმოფხვრილია. სხვათა შორის, სწორედ ამ პრობლემების გამო იყო, რომ ისინი ფეისლიფტინგისა და მეტსმეტად ფრთხილად მოეკიდნენ. თანაც, ეს პროცესი დიდი დავიანებით ჩაატარეს. დავიანების მიზეზი კი ის გახდა, თავიდან ჩატარებული მოდერნიზაციით კომპანიის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო დარჩენილა.

“სამქიმიანების” ხელმძღვანელობა არ აზუსტებს, თუ რამდენი განახლებული E-კლასის გაყიდვა დაგეგმილი. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ 2002 წლიდან მოყოლებული რაც ბაზარზე E-კლასის ახლანდელი ვერსია გამოჩნდა, სულ მილიონამდე ავტომობილი (მათ შორის უნივერსალის ძარიანიც) გაიყიდა. ამ მონაცემებით კი, ეს არის ბესტსელერი ბიზნეს-კლასის ავტომობილებს შორის. “დამილერკრაისლერის” სტატისტიკას უ დაუფუჯრებთ, E-კლასის მოდელს დასავლეთ ევროპის ბაზრის შესაბამისი სეგმენტის 30 და გერმანიის ბაზრის 38 პროცენტი ეკუთვნის.

განახლებული E-კლასის “მერსედესის” საბაზო ლირებულება 36 424 ევროა და ის ძრავის კუბატურისა და ავტომობილის აღჭურვილობის დონის შესაბამისად იცვლება. ამ ავტომობილების გაყიდვები ევროპაში 10 ივნისს დაიწყება, აშშ-ის ბაზარზე კი (მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარი “მერსედეს-ბენცისთვის”) ის ცოტა მოგვიანებით გამოჩნდება.

# ქრაუერის ექვსტაქტიანი შიდაწვის ძრავი

მარია ლორთქიფანიძე

ბრიუს ქრაუერმა თავის დროზე სახელი ჰოტ-როდინგში, აშშ-ში ავტოსპორტის მეტად პოპულარულ სახეობაში გაითქვა. წლების განმავლობაში, ის საუკეთესო ძრავებს უმზადებდა თავის პილოტებს. მაგრამ ახლა 75 წლისაა და უკვე დიდი ხანია, სპორტსაც ჩამოშორდა, თუმცა საინჟინრო აზროვნება ჯერაც უჭრის. ამის დასტურია თუნდაც მისი ბოლო გამოგონება, რომელმაც შეიძლება გადატრიალება მოახდინოს ძრავების წარმოებაში.

ქრაუერს კარგა ხანს მოსვენებას არ აძლევდა ის ფაქტი, რომ თანამედროვე ოთხტაქტიანი ძრავები სანავის მიერ გამოშვებული ენერჯის მხოლოდ მეოთხედ ნაწილს ითვისებენ, დანარჩენი კი გამონახობლქვ აირებთან და ძრავის გაგრილებასთან ერთად იკარგება.

სახელოვანი ინჟინრის მემკვიდრეობამ 30-წლიანი შრომის შემდეგ, სასურველი შედეგი მოიტანა - ქრაუერმა შექმნა თვისობრივად ახალი ტიპის, ექვსტაქტიანი შიდაწვის ძრავი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ენერჯის დანაკარგს. შედეგად, ძრავი უფრო მძლავრი და ეკონომიური გამოდის.

ტიპური ოთხტაქტიანი ძრავის ტაქტებია: შემეხვის, შეკუმშვის,

აფეთქებისა და გამობოქვის. ქრაუერმა ამ ტაქტებს "თავისი" ორი ტაქტი დაუმატა. მის მიერ შექმნილი ძრავის წვის კამერაში, მას შემდეგ, რაც იქიდან ნამუშევარი აირები გამოიდევენ, სპეციალური მფრქვევანით წყალი შედის. ამ დროს ორივე სარქველი (შემეხვის და გამოშვების) დახურულია. ბუნებრივად, კამერაში მოხვედრისთანავე წყალი ორთქლდება და დგუშს დამატებით ბიძგს აძლევს. ეს არის მეხუთე ტაქტი. მომდევნო ტაქტის დროს ისხნება გამოშვების სარქველი და ორთქლი გარეთ გამოიდევენება. ეს არის ბოლო, მეექვსე ტაქტი, რის შემდეგაც ძრავი ჩვეულ რიტმში აგრძელებს მუშაობას.

ქრაუერის გამოგონებას რიგი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. დადებითია პირველი რიგში ის, რომ გამოგონების ავტორის გაანგარიშებით, ძრავის მარჯი ქმედების კოეფიციენტი 40 პროცენტამდე იზრდება (თანამედრო-

ვე ძრავებში მქც საშუალოდ 25-28 პროცენტს აღწევს). გარდა ამისა, ძრავს აღარ ესაჭიროება გაგრილების სისტემა - ექსპერიმენტების დროს, ქრაუერის მიერ შექმნილი ძრავის პროტოტიპს გასახურებლად თითქმის ერთი საათი სჭირდებოდა, რაც, იმავდროულად, უარყოფითი თვისებაცაა.

წვის კამერაში წყლის შეშვების წყალობით, თითქმის გამოირიცხება დეტონაცია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელი გახდება კუმშვის ხარისხის მნიშვნელოვნად გაზრდა. ამას კი შედეგად მოჰყვება ძრავის სიმძლავრის ზრდა და ეკონომიურობის გაუმჯობესება.

ქრაუერის ძრავის უარყოფითი თვისება იქნება გამონახობლქვ აირებში ბოლომდე დაუნველი სანავის შემცველობის გაზრდა - ზედმეტად გაგრილებულ წვის კამერაში გაძნელება სანავაირში შემცველი სანავის აორთქლება. თუმცა, ამ ფაქტორის მინიმიზებისთვის მის-

წვება იქნება სანავის უშუალოდ წვის კამერაში შეფრქვევის სისტემის გამოყენება. ამგვარი სისტემა ადრე მხოლოდ დიზელის აგრეგატებში გამოიყენებოდა, თუმცა მას უკვე ბენზინზე მომუშავე ძრავებშიც იყენებენ.

გარდა ამისა, გაიზრდება ძრავის წონა. რა თქმა უნდა, მას არ დასჭირდება გაგრილების სისტემა თავისი წყლით, ტუმბოთი და რადიატორით. მაგრამ სამაგიეროდ, წვის კამერაში შესასხურებელი წყლისთვის დამატებითი ავზი (დაახლოებით სანავის ავზისხელა) იქნება საჭირო. ორი დამატებითი ტაქტის მომსახურებას დასჭირდ-

ება თავისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც, წყალი გარკვეული წნევით მოხვედება წვის კამერაში. თავის მხრივ, ეს სისტემა გარკვეულ ენერჯიას აართმევს ძრავს.

დაბოლოს, ჯერ შესწავლილი არ არის, თუ რა გავლენას იქონიებს წვის კამერაში წყლის შეფრქვევა - წინასწარი ვარაუდით, კამერაში შენეგვითი პროცესები უფრო ინტენსიური გახდება. ეს კი შეამცირებს საზეთი რგოლებისა და სარქველების მუშაობის რესურსს. ამასთან, წყალი გააუარესებს ცილინდრის კედლების შეზეთვის პროცესს, რაც ასევე უარყოფითად იმოქმედებს მთლიანობაში ძრავის რესურსზე.

მოკლედ, ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს ქრაუერის ექვსტაქტიანი ძრავი და რამდენად გამართლებული იქნება მასობრივ წარმოებაში მისი დანერგვა. ერთი კია, ნებისმიერი გამოგონება შემდგომ დახვეწას საჭიროებს. თუმცა, ქრაუერს ხომ საავტომობლო ინჟინერიის ყველაზე ექსტრემალურ სფეროში, ავტოსპორტში ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს დაგროვებული და ამდენად, არც თავისი გამოგონების დახვეწა გაუჭირდება. მითუმეტეს, თუ მისი ძრავით დიდი ავტომანქანებშიც დაინტერესდებიან...



## ამერიკელთა პლაზმა

### 2 მილიარდ ბრადუსამდე გააცხადეს

აშშ-ის ქალაქ ალბუერკეში (შტატი ნიუ

მექსიკო) მდებარე "სანდიას" ეროვნული ლაბორატორიის მეცნიერებმა პლაზმა რეკორდულად დიდ ტემპერატურამდე - ცელსიუსით 2 მილიარდ გრადუსამდე გააცხადეს.

ექსპერიმენტები ტარდებოდა სპეციალურად შექმნილ დანადგარ "Z მეშინზე", რომელიც ელემენტარული ნაწილების ამჩქარებელი და რენტგენის გამოსხივების უმძლავრესი გენერატორია. ის სპეცი-

ალურად, ბირთვული აფეთქების მოდელირებისთვის შეიქმნა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ექსპერიმენტის ავტორები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ იმის ახსნას, თუ როგორ მოხერხდა ამ შედეგის მიღწევა. "თავიდან შედეგებს არ დაეუჯერეთ. პირველ ექსპერიმენტს კიდევ არაერთი მოჰყვა, რამაც დაადასტურა მიღებული შედეგები და ჩვენც დავრწმუნდით, რომ არ შეე-

ცდარვართ", - განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა კრის დინემ.

ცნობისათვის, ჩვენი პლანეტის ბირთვის ტემპერატურა "მხოლოდ" 15 მილიონ გრადუსს აღწევს. უფრო მეტიც, თერმობირთვული სინთეზის მისაღწევად ჩატარებული ექსპერიმენტების დროს მიღებული მაქსიმალური ტემპერატურა 500 მილიონ გრადუსს არ ასცდენია.

როგორც წესი, ადრე ჩატარებული ექსპერიმენტების დროს, ზემალაღმეტყველებული პლაზმის მისაღწევად, დანადგარის უწვრილეს გამტარებში, რომლებიც ვოლფრამისგან იყო დამზადებული, 20 ათასი ამპერი ძალის მქონე დენს ულტრამოკლე იმპულსებად ატარებდნენ. "სანდიას" მეცნიერებმა კი ვოლფრამის სადენები ფოლადისათი შეცვალეს. ისინი სწორედ ამ

ცვლილებას უკავშირებენ მიღებულ შედეგს, თუმცა ამის ახსნა ჯერაც არ მოეპოვება.

ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ ექსპერიმენტების დროს იმაზე გაცილებით მეტი ენერჯია გამოიყოფოდა, ვიდრე იხარჯებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ისინი წააწყდნენ ენერჯის გენერაციის აქამდე უცნობ პროცესს. თუმცა, კონკრეტულად რა ხასიათისაა ეს პროცესი, ამაზე ჯერ ვერაფერს ამბობენ.

## ქირურგია კლინიკური სიკვდილის გამოყენებით

მასაჩუსეტსის ჰოსპიტლის ნამყვანი ექიმი ჰასან ალაში აცხადებს, რომ ქირურგებს მალე პაციენტის სიცოცხლისათვის საშიში ოპერაციების მართვადი კლინიკური სიკვდილის გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობა ექნებათ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანის გადარჩენა ქირურგთა სწრაფ და ზუსტ ქმედებაზე დამოკიდებულია. მაგრამ ადამიანს რომ შეეძლოს კლინიკური სიკვდილის მართვა, მაშინ სახიფათო ოპერაციის დროს შესაძლებელი გახდებოდა პაციენტის "სრული გათიშვა" - კლინიკური სიკვდილის დროს შესაძლებელია პულსის გათიშვა და ორგანიზმის ცხოველქმედების დროებითი შეჩერება. ამ დროს შეჩერებულია ტვინში ელექტრო-იმპულსების მოძრაობა და ასე განსაჯეთ, უჯრედებიც კი თითქმის არ მოიხმარენ ჟანგბადს.

თუ ექიმები შეძლებენ პაციენტის ასეთ გათიშვას, მაშინ მათ ყო-



ველგვარი აჩქარების გარეშე შეიძლება მძიმე ოპერაციების ჩატარება. ამ დროს მნიშვნელოვნად მცირდება რისკი და ოპერაციასაც სასურველი შედეგის მოტანა შეუძლია.

ალამი დარწმუნებულია, რომ ადამიანი მალე მოახერხებს კლინიკური სიკვდილის მართვას. უფრო მეტიც, ის ვარაუდობს, რომ მსგავსი ოპერაციების დროს, პაციენტს მთლიანად გამოაცლიან სისხლს. ამასთან, იმისათვის, რომ უსისხლოდ უჯრედები არ დაიღუპოს, პაციენტს გაყინავენ.

ოპერაციის დასრულების შემდეგ, მოხდება გამოცლილი სისხლის (გამთბარ მდგომარეობაში) უკან ჩატუმბვა, რის შემდეგაც, იმპულსების გამოყენებით აამოქმედებენ გულს. ალამი ამბობს, რომ მსგავსი ოპერაციები უკვე წარმატებით ჩატარდათ ლორებს. ის იმედოვნებს, რომ მალე მიეცემა ანალოგიური ტექნოლოგიის ადამიანებზე გამოცდის საშუალება.

# ქალური ინტერიერი

ROOMS-ის დიზაინერი

ყოველდღიური საქმიანობა, მუშაობა, სხვებზე ზრუნვა, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ, ალბათ, ყველა ქალის სურვილია, ჰქონდეს საკუთარი ოთახი, რომლის კარსაც ცხვირწინ მიუკეტავს ნებისმიერს და საკუთარ კომფორტულ სამყაროში განმარტოვდება.

ბუდუარი, XVIII საუკუნეში, საფრანგეთში გამოიგონეს. ამ სიტყვის ზუსტი თარგმანია "გაბრაზება", "მოღუშვა". მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბუდუარი მოსაწყენი და დამთრგუნველი ადგილია. პირიქით, ის ბრწყინავს და მოიცავს განუზღვრებელი ქალბატონების ფუფუნების საგნებს. მისი არსებითი ფუნქციაა, რომ ქალმა სრულფასოვან დიასახლისად იგრძნოს თავი.

ბუდუარის ცნებას, ხშირად, ლუდოვიკო XV-ს ფავორიტს მარკიზა დე პომპადურს უკავშირებენ. იგი თავიანთი მცემლებს სწორედ ამ "გაპრანჭულ კაბინეტში" პატივებდა. ბუდუარი გულისხმობდა საძინებელ ოთახს, რომელიც სააბაზანოს და "კლოზეტს" მოიცავდა.

რა თქმა უნდა, ოთახი კლასიკური სტილის იყო. გატენილი ანტიკვარული ნივთებით, სარკეებით, წითელი ხის ავეჯით და ცოტა აღმოსავლური ეგზოტიკით. თანაც, მაშინ ძალიან მოდაში იყო ჩინური ესთეტიკა. სამეფო ინტერიერებში როკოკოს დახვეწილ მოტივებთან ერთად ჭარბობდა გალაქული პანელები, შირმები, ფაიფურის ლარნაკები, მოოქროვილი ჭრილები და დეკორატიული პანოები. ბუდუარის აუცილებელი ატრიბუტი იყო საწერი მაგიდა, სადაც ქალბატონები წერილებით და პოეზიით ირთობდნენ თავს. მოკლედ რომ ვთქვათ, ბუდუარში ტარებოდა გალამაზების მთელი რიტუალი. იკაზმებოდნენ, წერდნენ წერილებს, შექმლოთ განმარტოვება და დასვენება.

თანამედროვე ცხოვრებაში და ცნობიერებაში თითქმის არფერი



დონა კარანი ქალაქმართობა, რომელსაც მოდელიორმა "სტრასის მოსახლელი ადამიანი" დაარსა.

დარჩა ბუდუარისგან. საქართველოში, ალბათ, არც ფიქრობენ ასეთ ფუნქციონებაზე. ქალების უმეტესობა იმიტირებს კმაყოფილებას, რომ ოთახში მხოლოდ ორი კვადრატული მეტრი აქვს მისაკუთრებული, სადაც მოთავსებულია "ტრილაფი", ანუ მაგიდა სარკით. თუ მეტის საშუალება არ არის, არა უშავს, იმიტომ რომ, ამ კუთხის მოწყობაც შეიძლება ლამაზად. ვისაც დიდი სახლი აქვს და კვადრატული მეტრები არ ენანება, ვურჩევ, რომ ოთახების დაგეგმარების დროს ბუდუარის ტრადიცია გაითვალისწინოს. მიუხედავად თქვენი ინტერიერის საერთო სტილისა, ეს ოთახი, სჯობს, შექმნილი იქნება იმეორებდეს XVIII საუკუნის ტენდენციებს, მასში უნდა იგრძნობოდეს განსხვავებული სამყარო. ქალის "გაპრანჭული კაბინეტი" მშვენივრად იარსებებს მინიმალისტურ სახლშიც.

რადგან, რატომღაც, ამ სტატი-აში გადავწყვიტე ქალის ინტერესების დაცვა, ცოტას მოგიყვებით ინტერიერებზე, რომელთაც ქალის ხელი ემჩნევა.

ქალური ინტერიერების სტილს გამოვიყვანო: ნაზი, მსუბუქი, ღია ტონებში, მაგრამ ამავე დროს, მტკიცე და ზუსტი.

სწორედ ქალური ინტუიციით



გავერსის აკვანი. კომპანია FRETTE.

არის გაუქმებული ცნობილი მოდელიერის დასასვენებელი სახლი ლონგ-აილენდში. გადაჭარბებული თეთრი ფერი, გატყვევებული ოქრო, მაქმანები, ძველებური ნივთები, ქანდაკება - ეს არის დონა კარანის ნარმოდგენა სახლის სიმყუდროვეზე. თეთრ შალითებში გახვეული დიდი ტახტები და სავარძლები დაძველებული ხის აქსესუარებთან თანაარსებობენ, ბაროკოს სტილის უზარმაზარი სარკეები და ავეჯი ეკვატორული აფრიკიდან, ძველმანების ბაზრობებზე, სიყვარულით შერჩეული სხვადასხვა ლამაზი ნივთები, გარდაცვლილი მეუღლის სტეფან ვაისის ქანდაკება - ეს ყველაფერი ქმნის საოცარ განწყობას, ინტერიერს, რომელიც ჯანსაღი და ძვირფასი აურით არის სავსე.



ქალბატონი შირმა საკინებავლს ჰყოფს "კლოუტისგან" (გვერის აუხლავალი ოცნება). ოთახი ნათელია, სავარდნი ხანიათი - ქალური.



მინიატურული სავარდნი და ხალჩანთა პირადი კოლექციონა.

კიდევ ერთი "სისუსტე" - დიდი, ნათელი და ლამაზი სააბაზანო. დიზაინერ ფლორანს დოსტალის სააბაზანო პარიზის სახლში გამოირჩევა ქალისთვის სახანიათო დეკორატიულობით. კედლებზე, სარკის ნაწილებსგან, შედგებილია მცენარის ორნამენტი, მაგრამ აქვია ვენეციური სარკაც. აბაზანა და ნიჟარაც ნაზი და მსუბუქია. გროლის ჭალი და გრები ამ სტილის სააბაზანოს აუცილებელი ელემენტებია.



ეს კი, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მამაკაცი დიზაინერის, პიერო ფორნაუატის ნამუშევარია (კარამიკული თიფი).